რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2026 წლის მაისი-ივნისი

TDI

რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2026 წლის მაისი-ივნისის პერიოდი

მომზადებულია

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ (TDI)
www.tdi.ge

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აგრძელებს დაკვირვებას რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოზე. მონიტორინგი მოიცავს საჯარო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების, საჯარო პირების, სასულიერო პირებისა და რელიგიური ინსტიტუტების განცხადებებსა და აქტივობებს.

წინამდებარე მიმოხილვა ასახავს **2026 წლის მაისი-ივნისის პერიოდს.**

ასევე შეგიძლიათ, იხილოთ რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით მონიტორინგის

2024 წლის ანგარიშები:
წინაასარჩევნო პერიოდი
25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე
25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე

არჩევნების შემდგომი პერიოდი
26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე
26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე

2025 წლის ანგარიშები:
26 დეკემბერი, 2024 - 2025 წლის 31 იანვარი
თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი-დეკემბერი.

2026 წლის ანგარიშები:
იანვარი-თებერვალი,
მარტი
აპრილი

ფოტო გარეკანზე: ნასტასია არაბული, “რადიო თავისუფლება”

სარჩევი

ტენდენციები..... 5

1. ფსევდორელიგიური ნარატივებით მანიპულაცია 7

1.1. მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ნარატივი..... 7

1.1.1.პოლიტიკური ოპოზიცია 7

1.1.2. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები..... 9

1.1.3. საპატრიარქოს წინააღმდეგ სავარაუდო დანაშაულის მანიპულაციური გამოყენება 10

1.2. "ქართული ოცნება", როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის დამცველი ძალა.....10

1.2.1. 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა და საერო მნიშვნელობის თარიღის არასეკულარული გამოყენება.....11

1.3. ჰომოფობიითა და „ოჯახის სიწმინდით" მანიპულაცია 13

1.4 „სიძულვილის ენის" მონიტორინგის სამმართველო და პოლიტიკური ცენზურა.....14

2. „ღირებულებითი განათლების" კლუბები საჯარო სკოლებში: რელიგიური ნეიტრალობისა და სეკულარობის დაცვის პრობლემა.....16

რა შეიცვალა 2024 წელს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში? .17

რატომ შეიძლება იყოს "ღირებულებითი განათლების კლუბების" ფუნქციონირება საჯარო სკოლებში სეკულარობისა და რელიგიური ნეიტრალობის პრინციპებთან შეუთავსებელი? 18

3. საქართველოს პატრიარქის არჩევა და ინტრონიზაცია.....19

4. პატრიარქ ილია მეორის გარდაცვალებისა და შემდგომი პერიოდის გაშუქება მედიაში....20

4.1. სახელისუფლებო, პროპაგანდისტული სარედაქციო პოლიტიკის მედია 20

4.2. "ქართული ოცნებისგან" დამოუკიდებელი მედიის გაშუქება.....23

5. ანტიდასავლური გზავნილები.....25

5.1 ევროკავშირი, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიისა და სუვერენიტეტის მოწინააღმდეგე ძალა 26

5.1.1. რეზოლუციების ინტერპრეტაცია, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა 28

5.1.2. პოლონეთის წინააღმდეგ განცხადებები 30

6. „დიფ სთეითის" მიერ მართული ევროკავშირი და აშშ-ის ხელისუფლება.....31

7. სასულიერო პირების განცხადებები 32

7.1. მართლმადიდებელი სასულიერო პირების განცხადებები პატრიარქის არჩევასთან დაკავშირებით 32
7.1.1. განცხადებები შესაძლო გარე ჩარევასა და პატრიარქობის რომელიმე კანდიდატის მხარდაჭერის იძულების დაუშვებლობაზე 32
7.2 დიუშენის სინდრომის მქონე ბავშვების მხარდამჭერი განცხადებები 34
7.3 „სიძულვილის ენის“ მარეგულირებელი სამმართველო 35
7.4 პოლიტიკური პატიმრების მხარდაჭერა 36
7.4.1. განცხადებები პოლიტიკოს ელენე ხოშტარიას ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. 38
7.5. განცხადებები რუსეთის მიერ კიევ-პეჩერის ლავრის მიძინების ტაძრის დაბომბვის შესახებ 38

ტენდენციები

საანგარიშო პერიოდში "ქართული ოცნების" ხელისუფლების ნარატივების წამყვანი თემა კვლავ მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვა და ანტიდასავლური რიტორიკა იყო. მართლმადიდებელი ეკლესიის და პატრიარქის მტრებად მონიშნული იყვნენ პოლიტიკური ოპოზიცია, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ზოგადად, "ქართული ოცნების" ოპონენტები, რომელთა მიზნადაც ეკლესიის ავტორიტეტის, ეროვნული იდენტობისა და ე.წ. ტრადიციული ღირებულებების დასუსტება სახელდებოდა.

ამავდროულად, „ქართული ოცნება" საკუთარ თავს მართლმადიდებელი ეკლესიის, რწმენისა და ეროვნული იდენტობის მთავარ დამცველ ძალად წარმოაჩენდა. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო სახელმწიფოს, ეკლესიისა და იზოლაციონისტური ეროვნულ-რელიგიური იდენტობის ერთმანეთთან გაიგივების მცდელობა. ამ ნარატივის მიხედვით, სრულფასოვანი ეროვნული კუთვნილება განისაზღვრება ხელისუფლების მიერ კონსტრუირებული „მართლმადიდებლური" და ე.წ. კონსერვატიული ღირებულებების ერთგულებით.

პატრიარქ ილია მეორის გარდაცვალებისა და ახალი პატრიარქის, შიო III-ის არჩევის პერიოდში, მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული თემები მმართველი პარტიისთვის განსაკუთრებული მანიპულაციის წყაროდ იქცა. "ქართული ოცნების" ხელისუფლება და პროსახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მქონე, პროპაგანდისტული მედია პატრიარქის არჩევასთან დაკავშირებულ კრიტიკულ კითხვებს, განსხვავებულ მოსაზრებებსა და შესაძლო პოლიტიკური ან არაფორმალური გავლენის შესახებ მსჯელობას ეკლესიის ავტონომიაში ჩარევად წარმოაჩენდა.

სეკულარობისა და რელიგიური ნეიტრალობის თვალსაზრისით, საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით საყურადღებო იყო საჯარო სკოლებში „ღირებულებითი განათლების" კლუბების გაფართოებაც. განათლების სამინისტროსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ერთობლივი პროგრამა საჯარო სკოლებში მართლმადიდებელი სასულიერო პირების ინსტიტუციურ ჩართვას ითვალისწინებს. იგი „ღირებულებითი აღზრდის" სახელით რელიგიურ, ვიწროეთნიკურ და პოლიტიკურ შინაარსებს ერთმანეთთან აერთიანებს და საჯარო სკოლის აღმზრდელობით ფუნქციას ამ იდეოლოგიური ჩარჩოთი განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ფორმალურად ნებაყოფლობითი და კლუბური ფორმისაა, მისი მასშტაბი, სახელმწიფო მხარდაჭერა, სასულიერო პირების გადამზადების ინსტიტუციური მექანიზმი და ჩართულობა და შინაარსობრივი კავშირი "ქართული ოცნების" მიერ ინტერპრეტირებულ „ქართულ იდენტობასა" და "ქრისტიანულ ფასეულობებთან", აჩენს საჯარო სკოლებში რელიგიურ-იდეოლოგიური ინდოქტრინაციისა და განსხვავებული რელიგიური ან არარელიგიური იდენტობის მქონე მოსწავლეების გარიყვისა და დისკრიმინაციის რისკებს.

17 მაისმა (IDAHOT) წინა წლების მსგავსად, ლგბტქი ადამიანების უფლებების უგულებელყოფის, “ქართული ოცნების” ხელისუფლების მხრიდან სიძულვილის წაქეზების, დისკრიმინაციული კანონმდებლობის და პოლიტიკური ჰომოფობიის ფონზე ჩაიარა. წინა წლების მსგავსად, მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ და “ქართულმა ოცნებამ” “ოჯახის სიწმინდის დღე” მასშტაბური საჯარო მსვლელობებითა და პოპულისტური შინაარსის განცხადებებით აღნიშნეს. ეს დღე მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ 2013 წლის 17 მაისის მასშტაბური ჰომოფობიური ძალადობიდან ერთი წლის თავზე, 2014 წელს დააწესა.

“ქართულმა ოცნებამ” გააგრძელა აგრესიული ანტიდასავლური და ანტიევროპული რიტორიკა, სადაც ევროკავშირი და დასავლელი პარტნიორები ეკლესიის, სუვერენიტეტისა და ეროვნული იდენტობის წინააღმდეგ მოქმედ ძალებად წარმოჩნდებოდნენ. გაგრძელდა თავდასხმები საქართველოში ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენელ დიპლომატებზე. ასევე განგრძობითად ვრცელდებოდა ევროკავშირისა და აშშ-ის ხელისუფლების წინააღმდეგ “დიფ სთეითისა“ და „გლობალური ომის პარტიის“ კონსპირაციული ნარატივები.

მთლიანობაში, ანგარიშში აღწერილი ტენდენციები აჩვენებს, რომ მმართველი პარტია რელიგიურ თემატიკას სულ უფრო მეტად იყენებს პოლიტიკური ლოიალობის საზომად, ოპონენტების დისკრედიტაციისა და კრიტიკული აზრის მარგინალიზებისათვის.

ისევე როგორც წინა საანგარიშო პერიოდებში, სასულიერო პირთა ნაწილი გმობდა “ქართული ოცნების” რეპრესიულ პოლიტიკას და საზოგადოებრივ და უფლებრივ საკითხებზეც აქტიურად საუბრობდა: მხარს უჭერდა დიუშენის სინდრომის მქონე ბავშვებსა და მათ ოჯახებს, მოითხოვდა პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას ან შეწყალებას, კრიტიკულად აფასებდა „სიძულვილის ენის“ სახელით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხეს. ცალკეულმა სასულიერო პირებმა ასევე დაგმეს რუსეთის მიერ უკრაინის რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის კიევ-პეჩერის ლავრის მიძინების ტაძრის დაბომბვა. მთლიანობაში, მათი განცხადებები აჩვენებდა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით არსებობს როგორც ინსტიტუციური ავტონომიის დაცვის, ისე სოციალური პასუხისმგებლობის, ადამიანის უფლებებისა და რუსეთის აგრესიის კრიტიკისკენ მიმართული ხმები.

1. ფსევდორელიგიური ნარატივებით მანიპულაცია

1.1. მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ნარატივი

საანგარიშო პერიოდში "ქართული ოცნების" ხელისუფლება და მასთან დაკავშირებული პირები კვლავ ავრცელებდნენ გზავნილებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ კოორდინირებული შეტევის შესახებ. ამ ნარატივის მიხედვით, პატრიარქის არჩევის პროცესის, სინოდის სხდომების, საპატრიარქოს, მართლმადიდებელი სასულიერო პირების საჯარო განცხადებების თუ ცალკეული სასულიერო პირების კრიტიკა ან მათ შესახებ პოზიციის გამოხატვა არის არა საზოგადოებრივი დისკუსიის ნაწილი, არამედ გარე ძალების მიერ მხარდაჭერილი პროცესი, რომლის მიზანია, ეკლესიის ავტორიტეტისა და ეროვნული იდენტობის დასუსტება. ეს გზავნილები გაგრძელდა მიტროპოლიტ შიო მუჯირის პატრიარქად არჩევის შემდგომაც.

ისევე როგორც წინა საანგარიშო პერიოდებში, მართლმადიდებელი ეკლესიისა და პატრიარქის მტრებად მონიშნული იყვნენ: *პოლიტიკური ოპოზიცია, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ზოგადად, "ქართული ოცნების" ოპონენტები.*

1.1.1.პოლიტიკური ოპოზიცია

"ქართული ოცნება" ხშირად იყენებდა მართლმადიდებელი ეკლესიის სახელს პოლიტიკური ოპოზიციის ე.წ. "ანტიეკლესიური" და "უცხო ძალასთან" დაქვემდებარებული დამოკიდებულების წარმოსაჩენად. "ქართული ოცნებისა" და მისი სატელიტი პარტიის "ხალხის ძალის" წარმომადგენლების რიტორიკის მიხედვით, პოლიტიკური ოპოზიცია, "კოლექტიური ნაცმოძრაობის"[1] სახით, "გარე პატრონების" დავალებით, მართლმადიდებელ ეკლესიასა და პატრიარქს გამუდმებით თავს ესხმის.

მათი თქმით, ვინაიდან მართლმადიდებელი ეკლესია ქართველი ხალხის იდენტობის, ერთიანობისა და სულიერი სიმტკიცის უმთავრესი საყრდენია, სწორედ ამიტომ გახდა ოპოზიციის "მთავარი სამიზნე". ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა კი მიზნად ისახავს საზოგადოებაში მაღალი ავტორიტეტის მქონე ინსტიტუტის დასუსტებას, რწმენის შერყევასა და ეროვნული იდენტობის, ტრადიციებისა და ოჯახური ღირებულებების დაკარგვას, რათა საზოგადოება უფრო მარტივად მანიპულირებადი გახდეს. "ქართული ოცნების" თქმით, მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით გააქტიურდა პატრიარქ

[1] "კოლექტიურ ნაცმოძრაობაში" პარტია „ქართული ოცნება" და მისი ლიდერები მოიაზრებენ როგორც უშუალოდ "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", ისე თითქმის მთელ დანარჩენ პროდასავლურ და ოპოზიციურ სპექტრს, კრიტიკულ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათგან დამოუკიდებელ მედიას და ზოგადად ოპონენტებს. ამასთან, "ქართული ოცნების" პარლამენტის წევრებს (სულ 89 წევრს) საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი აქვთ კონსტიტუციური სარჩელი პოლიტიკური პარტიების "ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა", „კოალიცია ცვლილებისთვის, გვარამია, მელია, გირჩი დროა", „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!" "ფედერალისტური პარტია" საქმიანობის კონსტიტუციურობისა და აკრძალვის საკითხზე.

ილია მეორის გარდაცვალების შემდეგ, საზოგადოების მხრიდან გამოხატული უდიდესი ერთობისა და მყარი პოზიციის საპასუხოდ. "ქართული ოცნების" შეფასებით, "რადიკალურ ოპოზიციას" არ გააჩნია ნდობა და დასაყრდენი ქართულ საზოგადოებაში და მათი ქმედებები ქვეყნის შიგნით განხეთქილების შეტანისკენ არის მიმართული.

"ქართულმა ოცნებამ" საკუთარი პროპაგანდისთვის აქტიურად გამოიყენა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დამფუძნებლის, პატიმრობაში მყოფი საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადება. ერთ-ერთ განცხადებაში, მან პატრიარქის არჩევნებს "ე.წ. არჩევნების რუსული სპეცოპერაცია" უწოდა. "ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა სააკაშვილის შეფასება ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის გამოიყენეს. მათი თქმით, "კოლექტიური ნაცმოძრაობა" წლების განმავლობაში მიზანმიმართულად მტრობდა მართლმადიდებელ ეკლესიას, პატრიარქსა და მართლმადიდებელ სასულიერო პირებს.

ირაკლი კირცხალია, „ქართული ოცნების" საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, 11 მაისი: "**რადიკალური ოპოზიცია უტევს ყველაფერს,** რაც უდრის ქვეყნის იდენტობას და სარწმუნოებას… როდესაც ქვეყნის იდენტობას შეარყევ და შეეცდები, **რწმენაში მყოფ ადამიანში რწმენა შეარყიო, ის ადვილად სამართავია**…ეს არის უმორალო, უსამშობლო ადამიანების დაჯგუფება, რომლებიც ებრძვიან ყველაფერს, რაც არის ღირსეული ქვეყნისთვის."

ნინო წილოსანი, „ქართული ოცნების" პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, 12 მაისი: "ირონია და ცინიზმი, რომელიც მუდმივად გასდევთ მათ [ოპოზიციის] კომენტარებსა, თუ პოსტებს, კიდევ ერთხელ გვაჩვენებს და გვახსენებს, რომ ეს ადამიანები არ შეიცვლიან ზნეს. **ისინი ებრძვიან ჩვენს რელიგიას, რადგან სწორედ სარწმუნოება გვაერთიანებს**."

გია ვოლსკი, „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 13 მაისი: "...ეკლესიას განიხილავენ როგორც თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთ ბურჯს. **არა მარტო ქართულ ეკლესიაზეა შეტევა, ზოგადად საზოგადოებაზეა შეტევა.** იმ საზოგადოებაზე, რომელმაც თავი გვაჩვენა, როდესაც ვგლოვობდით პატრიარქ ილია მეორეს. **ეკლესიაზე შეტევა სწორედ ბნელი, პრაგმატული პოლიტიკური მიზნითაა განპირობებული**."

გურამ მაჭარაშვილი, „ქართული ოცნების" სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის" პარტიის პარლამენტის დეპუტატი, 22 მაისი: "რომელ საზოგადოებაში დადიან? საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა არის მომხრე იმ პოლიტიკის, რასაც ჰქვია ოჯახური ღირებულება, რისი მომხრეც ეგენი არ არიან. საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა **მომხრეა რწმენის, მართლმადიდებელი ეკლესიის, პატრიარქის, ეს ხალხი ამათ ებრძვის.** ამიტომაც იციან, რომ საზოგადოებაში დასაყრდენი არ აქვთ. რაც შეეხება მათ არეულობას, ეს მათი ბუნებრივი მოცემულობაა."

განცხადებები მიხეილ სააკაშვილის კომენტარებზე:

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრი, 4 მაისი: "გვახსოვს, როგორი კამპანიები წარმოებდა ამ რეჟიმის პირობებში **ეკლესიის წინააღმდეგ. ცხრა წლის განმავლობაში არ გაჩერებულა ეს კამპანია**. თვითონ ურიგებდნენ სასულიერო პირებს ჯიპებს და შემდეგ თვითონ იწყებდნენ კამპანიას ამ ჯიპებთან დაკავშირებით. ეკლესიის დისკრედიტაცია სხვადასხვა ფორმით, კომპრომატებით შანტაჟი და

ასე შემდეგ, უამრავი უბედურება ხდებოდა მაშინდელი ხელისუფლების პირობებში. ეს ყველაფერი შეიცვალა, მიდგომები შეიცვალა."

დავით მათიკაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 1 მაისი: "მეხუთე კოლონის გამორჩეულმა ლიდერმა, ააკაშვილმა კარგად იცის, რომ ვიდრე **ეკლესია ძლიერია და სულიერი ღირებულებები მაღალ თამასაზეა, უცხოურ ძალებს საქართველოში არანაირი შანსი არ აქვთ**, თავიანთი ინტერესები გაატარონ, **შიდა საქმეებში ჩაერიონ და საქართველო პროქსი ქვეყნად აქციონ**. ააკაშვილის საქმიანობას რომ გადახედოთ, ნახავთ, მუდმივად ანტიქართული და ანტიეკლესიური ქმედებებით გამოირჩეოდა."

1.1.2. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები

"ქართული ოცნებისა" და მისი სატელიტი პარტიის, "ხალხის ძალის" წარმომადგენლების ნარატივის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც, ოპოზიციის მსგავსად, "გარე" დაფინანსებით" (იგულისხმება დასავლეთის პარტნიორი ქვეყნები) მტრობენ მართლმადიდებელ ეკლესიასა და პატრიარქს. ამასთან, მათი თქმით, ეკლესიის წინააღმდეგ კამპანიის ნაწილი იყო პატრიარქის თანამოსაყდრისა და შემდგომში ახალი პატრიარქის, შიო მესამის შესახებ სავარაუდო რუსულ კავშირებზე საუბარი და ამ ფორმით, მისი დისკრედიტაცია.

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრი, 21 მაისი: "მთავარი მიზეზი, რატომაც ჩვენ მივიღეთ გამჭვირვალობის კანონი, რომელსაც მერე მიაწებეს რუსული კანონის იარლიყი, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ სწორედ ამ ევროპული ფულით და მაშინდელი ამერიკული ადმინისტრაციის ფულით, **USAID-ის, NED-ის, EED-ის და ამ ორგანიზაციების ფულით ფინანსდებოდა სიძულვილის კამპანიები საქართველოში. ხელისუფლების, ინსტიტუტების, მართლმადიდებელი ინსტიტუტების მიმართ, ფინანსდებოდა იმ სამარცხვინო ფულით, რომლის წინააღმდეგაც იქნა მიღებული გამჭვირვალობის შესახებ კანონი**, რასაც უწოდეს რუსული კანონი."

ლევან მაჭავარიანი, „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 9 მაისი: "ჩვენმა პატრიარქმა სიცოცხლეშივე მოსაყდრედ დაასახელა მეუფე შიო. თავდასხმა მეუფე შიოზე დაიწყო ზუსტად იმ პერიოდიდან. რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები, **მდიდარი „ენჯეოები" ზუსტად იმ პერიოდიდან იწყებენ კამპანიას, თითქოს მეუფე შიო რუსეთის თამაშს თამაშობს**.

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრი, 26 ივნისი: "...ამაში, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ პარლამენტს ჰქონდა განსაკუთრებული წვლილი, განსაკუთრებით იმ კანონმდებლობას, რომელიც მიიღო საქართველოს პარლამენტმა გასული წლების განმავლობაში და განსაკუთრებულ აქცენტს გავაკეთებდი „გამჭვირვალობის შესახებ კანონზე", „გრანტების შესახებ კანონზე". ეს იყო ზუსტად ის კანონები, რომლებმაც მოგვცა ჩვენ ვითარების დამშვიდების საშუალება. **თქვენ იცით, რას ხმარდებოდა უცხოური გრანტები, ე.წ. NGO-ებზე გაცემული გრანტები ჩვენს ქვეყანაში**. ხმარდებოდა ზუსტად რომ ქვეყნის არევას, ხმარდებოდა თავდასხმას სახელმწიფო ინსტიტუტებზე, **თავდასხმას მართლმადიდებელ ეკლესიაზე**, საბოტაჟის მცდელობას და ასე შემდეგ..."

1.1.3. საპატრიარქოს წინააღმდეგ სავარაუდო დანაშაულის მანიპულაციური გამოყენება

საანგარიშო პერიოდში, მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ეზოში მოხდა სავარაუდო დანაშაული: საპატრიარქოს ეზოში დამონტაჟებული ვიდეო კამერების კადრებიდან ჩანს, რომ ავტომობილი ეზოში შეიჭრა, დააზიანა შლაგბაუმი და ჭიშკარი და იქ მდგომ სხვა ავტომობილს შეეჯახა. ვიდეოკადრებში ჩანს, რომ ტერიტორიაზე მყოფი სასულიერო პირი გადაურჩა ავტომობილის შეჯახებას. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ავტომობილის მძღოლი საპატრიარქოსა და პატრიარქის მიმართ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს იყენებდა. მძღოლი შსს-მ ადგილზე დააკავა, ხოლო გამოძიება ნივთის დაზიანების ან განადგურების მუხლით დაიწყო. პროსახელისუფლებო მედიამ და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა პროპაგანდისტებმა ეს შემთხვევა დაუკავშირეს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ე.წ. ხანგრძლივ და კოორდინირებულ კამპანიას, რომლის მონაწილეებად ოპოზიცია, დამოუკიდებელი მედია, სამოქალაქო სექტორი და უცხოელი პარტნიორები დაასახელეს. ამგვარი გაშუქება კონკრეტულ სავარაუდო დანაშაულს „ანტიეკლესიური თავდასხმის“ მტკიცებულებად იყენებდა და ამ გზით, ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ უკვე არსებულ პროპაგანდისტულ ნარატივს აძლიერებდა. *(განცხადებები: „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის, „ხალხის ძალის“ წევრი, დავით ქართველიშვილი, "ქართული ოცნების" პროპაგანდისტები: ნინო ფოჩხუა, დავით ჩიხელიძე, გია აბაშიძე)*

1.2. "ქართული ოცნება", როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის დამცველი ძალა

ფოტო: "რადიო თავისუფლება", ნასტასია არაბული

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, „ქართული ოცნების“ ნარატივების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ერთი მხრივ, პარტიის წარმოჩენა მართლმადიდებელი ეკლესიისა და ეროვნულ-რელიგიური იდენტობის, მეორე მხრივ, კი კონსტიტუციური სეკულარიზმის დამცველ ძალად.

> ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 17 მაისი: "...უფლის მფარველობით და პატრიარქის სულიერი წინამძღოლობით, **ჩვენ მტკიცედ დავიცავთ, ქრისტიანობას, მართლმადიდებლობას და ყველა იმ ფასეულობას, რომელიც ქართველი ერის არსსა და შინაარსს ქმნის**."

> ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 4 მაისი: დღეს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა ეფუძნება პრინციპებს. მათ შორის, **ერთ-ერთი მთავარი პრინციპია სეკულარიზმის პრინციპი.** ამ პრინციპით ვაპირებთ ურთიერთობის გაგრძელებას. თვისებრივად განსხვავებულია ურთიერთობების შინაარსი **დღეს ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის და თვისებრივად განსხვავებული იყო ურთიერთობების შინაარსი სააკაშვილის რეჟიმის პირობებში**.

> დიმიტრი სამხარაძე, 17 ივნისი: "საქართველოს მშვიდობის, **ჩვენი ეკლესიისა და მომავალი თაობების დაცვის მთავარი გარანტი არის ერისკაცი ბატონი ბიძინა ივანიშვილი!** ვერც ერთი გარე თუ შიდა ძალა ვერ დააჩოქებს საქართველოს ქართული ოცნების მმართველობის პირობებში, ეს არაერთხელ დადასტურდა."

1.2.1. 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა და საერო მნიშვნელობის თარიღის არასეკულარული გამოყენება

2026 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა. წელს "ქართული ოცნების" ხელისუფლებამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ოფიციალური კონცეფცია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების (ქართლის გაქრისტიანების) 1700 წლის იუბილეს დაუკავშირა[2]. 26 მაისის მთავარმა სლოგანმა, *„1700 წელია, რწმენა გვაძლიერებს — სიყვარული გვაერთიანებს“,* თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძვლად, პირველ რიგში, მართლმადიდებლური რწმენა წარმოაჩინა.

ისტორიულად, 26 მაისი უკავშირდება 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. დამოუკიდებლობის აქტმა საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიულ რესპუბლიკად განსაზღვრა და ყველა მოქალაქისთვის თანაბარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფა აღიარა, *განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.* ეს მოქალაქეობრივ თანასწორობაზე დაფუძნებული ხედვა უფრო სრულად აისახა 1921 წლის

[2] 2026 წლის ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლის იუბილედ განსაზღვრა ეფუძნება ქართლის გაქრისტიანების 326 წლით დათარიღებას. თუმცა ქართლის სამეფოს გაქრისტიანებისა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების ზუსტი წელი ისტორიულად დადგენილი არ არის. ქართულ და საერთაშორისო ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა თარიღი და ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩო გვხვდება, მათ შორის 317, 318, 319–320, 337 და 355 წლები, ასევე IV საუკუნის პირველი ნახევარი.

კონსტიტუციაში, რომელმაც ფართო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები განამტკიცა და თანასწორობის, რელიგიის თავისუფლების, სახელმწიფოსა და რელიგიური ინსტიტუტების გამიჯვნისა და ევროპული კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს დაეფუძნა.[3]

საზოგადოების, მათ შორის რელიგიურ-ეთნიკურ უმცირესობათა ნაწილი მიიჩნევს, რომ მმართველი პარტიის 2026 წლის ოფიციალურმა გზავნილმა რესპუბლიკური სახელმწიფოებრიობის, მოქალაქეობრივი თანასწორობისა და პოლიტიკური სუვერენიტეტის იდეები ეთნო-რელიგიური იდენტობის არაპლურალისტური და არასეკულარული ნარატივით გადაფარა.

აღსანიშნავია, რომ "ქართულმა ოცნებამ" ამ საერო მნიშვნელობის თარიღის არასეკულარული აღნიშვნისთვის დომინანტ რელიგიურ ორგანიზაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცალკე სახსრები - 5,300,000 ლარი გამოუყო (საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის განკარგულება). საპატრიარქოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსებას უნდა მოხმარდეს. ასევე შეიქმნა საქართველოს მთავრობისა და საქართველოს საპატრიარქოს ერთობლივი კომისია, რომელსაც „ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე თავმჯდომარეობს. ამ კომისიის მიზანია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებების საორგანიზაციო გეგმის შემუშავება და განხორციელება.

26 მაისის განცხადებები

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლის იუბილესთან დაკავშირებით, "ქართული ოცნების" წარმომადგენლები სიტყვით გამოვიდნენ. მათ შორის, "ქართული ოცნების" პრეზიდენტმა, მიხეილ ყაველაშვილმა განაცხადა, რომ ეს თარიღი აჩვენებს, „თუ რამდენად განუყოფელია ერთმანეთისგან ჩვენი ისტორია და სარწმუნოება".

> შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის თავმჯდომარე, 26 მაისი: "ზოგიერთს დღესაც სურს, მოგვინგრიოს ჩვენი **ორი საყრდენი**, არ ვიდგეთ ფეხზე, მათ წესებს მივყვეთ და საკუთარზე უარი ვთქვათ. ახალ ოქროს ჯაჭვზე გამობმულებმა ვაკეთოთ ყველაფერი, მაგრამ არ ვიყოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო; ვეყუდნოდეთ სხვას და არა საკუთარ თავს. ეს არ გამოვა. **ქართველი ხალხის ნება მტკიცეა. ჩვენი საუკუნოვანი ბრძოლა ეკუთვნის ავტოკეფალიურ ეკლესიას და დამოუკიდებელ სახელმწიფოს.** ესაა საქართველოს თავისუფლების ფორმულა.
>
> ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრი, 26 მაისი: "...დღეს, დამოუკიდებლობის აღდგენიდან 35 წლის თავზე, თითოეულ პატრიოტ ქართველს შეუძლია იამაყოს, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი და სუვერენული, როგორც არასდროს. სწორედ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტში გაძლიერებამ მისცა ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობა, **ურთულესი გამოწვევების**

[3] T Jeremy Gunn and Dag Nygaard, *Georgian Constitutional Values versus Political and Financial Interests: The Constitutional Agreement's Departure from the Georgian Principle of Equality* (Oslo Coalition on Freedom of Religion or Belief, Norwegian Centre for Human Rights, 2015)

მიუხედავად, მტკიცედ დაეცვა სარწმუნოება, შეენარჩუნებინა მშვიდობა და დასდგომოდა წინსვლისა და განვითარების უწყვეტ გზას, რომელიც აუცილებლად მიგვიყვანს აღთქმულ მიწამდე - ჩვენი ყველა ეროვნული მიზნის მიღწევამდე, გამთლიანებულ და გაბრწყინებულ საქართველომდე.

1.3. ჰომოფობიითა და „ოჯახის სიწმინდით“ მანიპულაცია

2026 წლის 17 მაისსაც, ამ დღის აღნიშვნამ, წინა წლების მსგავსად, ლგბტქი ადამიანების უფლებების უგულებელყოფის, "ქართული ოცნების" ხელისუფლების მხრიდან სიძულვილის წაქეზების, დისკრიმინაციული კანონმდებლობის და პოლიტიკური ჰომოფობიის ფონზე ჩაიარა.

17 მაისი - ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა (IDAHOT). იგი ემსახურება ლგბტქ ადამიანების უფლებების ხილვადობას და გმობს ძალადობას. თუმცა საქართველოში 2014 წლიდან ამ დღის უფლებრივი მნიშვნელობა კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივით, „ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღის“ აღნიშვნამ გადაფარა.

ამ თარიღის დღესასწაულად გამოცხადებამდე, ერთი წლით ადრე, ძალადობრივმა ჯგუფებმა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილმა რუსთაველის გამზირზე ჰომოფობიის წინააღმდეგ შეკრებილი ადამიანები დაარბიეს და მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ.[4] 2024 წელს „ქართულმა ოცნებამ“ 17 მაისი უკვე ოფიციალურ უქმე დღედ გამოაცხადა.

წელსაც, წინა წლების მსგავსად, მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ "ოჯახის სიწმინდის დღე" მასშტაბური საჯარო მსვლელობით აღნიშნა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

"ოჯახის სიწმინდის" დღის მიმდინარეობას აქტიურად აშუქებდნენ პროპაგანდისტული, სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიაპლატფორმები.[5]

---

[4] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „უპრეცედენტო“ უწოდა 2013 წლის 17 მაისს თბილისში ლგბტ დემონსტრანტების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას და 193 500 ევროს გადახდა დააკისრა საქართველოს, რომლის „ხელისუფლების მდუმარე თანხმობითაც“ მოხდა აღნიშნული ძალადობა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს.სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა) და მე-11 მუხლი (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება), მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში.

[5] დიდი ბრტანეთის მიერ სანქცირებული ტელეკომპანია იმედის სიუჟეტები: *ერის და ბერის ერთობა*, *დამოუკიდებლობის დღესთან ერთად, მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1 700 წლის იუბილეს აღნიშნავს*, *17 მაისს საქართველოში ოჯახის სიწმინდის დღე აღინიშნება* ბრიტანეთის მიერ სანქცირებული პოსტ ტვ-ის სიუჟეტები: *17 მაისი - ოჯახის სიწმინდის დღე*, *ოჯახის სიწმინდის დღე* რუსთავი 2-ის სიუჟეტები: *17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღე*, *ოჯახის სიწმინდის დღე*, *ოჯახის სიწმინდის დღე*

“ქართული ოცნების” მხრიდან 17 მაისის განცხადებებში გამოიკვეთა რამდენიმე განმეორებადი ტენდენცია: მართლმადიდებლობის, ტრადიციული ოჯახის და ეროვნული იდენტობის ერთმანეთთან გაიგივება; ბუნდოვანი „გლობალური გამოწვევების“ ფონზე კულტურული საფრთხის განცდის შექმნა და განსხვავებული პოლიტიკური თუ სოციალური პოზიციების ეროვნული და რელიგიური ფასეულობების საწინააღმდეგოდ მონიშვნა.

> მიხეილ ყაველაშვილი, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტი, 17 მაისი: “...**თანამედროვე სამყაროს გლობალური გამოწვევების ფონზე, ჩვენი ვალია, დავიცვათ და გავაძლიეროთ ის წმინდა სივრცე, სადაც სიყვარული, ერთგულება და თაობათაშორისი კავშირი ცოცხლობს**...”
>
> შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარე, 17 მაისი: “ოჯახი, სადაც იზრდება მომავალი თაობა; სადაც ბავშვი პირველად სწავლობს რა არის სამშობლო, რა არის სიკეთე, ღირსება, შრომა და ერთმანეთის პატივისცემა. **დღეს, როდესაც მსოფლიო მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დავიცვათ ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოგვიყვანა...”**
>
> გურამ მაჭარაშვილი, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ პარტიის პარლამენტის დეპუტატი, 17 მაისი: “...როცა შენ პოლიტიკოსობაზე და ხელისუფლებაში მოსვლაზე გაქვს პრეტენზია იმ ქვეყანაში, რომელიც **ღვთისმშობლის წილხვედრია, რომელსაც ასი ათასი მოწამე და უამრავი წამებული წმინდანი ჰყავს, ხელს აწერ გეი-პროპაგანდას** (ეს დოკუმენტი არსებობს), პასუხისთვისაც მზად უნდა იყო.”

1.4 „სიძულვილის ენის“ მონიტორინგის სამმართველო და პოლიტიკური ცენზურა

საანგარიშო პერიოდში, „ქართული ოცნება“ განაგრძობდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას და მარეგულირებელი კანონმდებლობისა და აღსრულების მექანიზმების გამკაცრებას. 2026 წლის 1 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტში ამოქმედდა „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო“. უწყების განცხადებით, სამმართველო სოციალურ ქსელებსა და მედიაში საჯაროდ გავრცელებულ შეურაცხმყოფელ, ადამიანის ღირსების შემლახველ და სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებს პროაქტიულად აკვირდება, ადგენს სავარაუდო სამართალდამრღვევის ვინაობას, ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და საქმეს სასამართლოს გადასცემს.

სამმართველოს სახელწოდების მიუხედავად, ივნისში გამოვლენილი პრაქტიკა აჩვენებს, რომ მისი საქმიანობა ძირითადად არა იდენტობის ნიშნით ადამიანთა ჯგუფების წინააღმდეგ სიძულვილის, მტრობის, დისკრიმინაციის ან ძალადობის წაქეზებას, არამედ “ქართული ოცნების” წარმომადგენლებისა და სხვა პირების მიმართ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ უხეშ და შეურაცხმყოფელ კომენტარებს შეეხებოდა. 15 ივნისისთვის სამმართველოს სასამართლოებისთვის უკვე დაახლოებით 60 საქმე ჰქონდა გადაცემული, ხოლო ივნისის მეორე ნახევარში მოქალაქეებს 2 000-დან 4 000 ლარამდე ჯარიმები შეეფარდათ. საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს, თუმცა საქმეების გამოვლენასა

და წარმოებას პოლიცია საკუთარი ინიციატივით, სოციალური ქსელების მონიტორინგის საფუძველზე იწყებს.

უნდა აღინიშნოს, რომ „ქართული ოცნება“ სიძულვილის ენის ცნებას განზრახ აფართოებს და მას პირად შეურაცხყოფასა და უხეშ კრიტიკასაც მიაკუთვნებს. საერთაშორისო სტანდარტებით, სიძულვილის ენა ადამიანის ან ჯგუფის წინააღმდეგ მათი რეალური ან მიწერილი იდენტობის ნიშნით *(როგორიცაა, „რასა“ , კანის ფერი, ენა, რელიგია, ეროვნება, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობა, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, სქესი, გენდერული იდენტობა, სექსუალური ორიენტაცია და სხვა ნიშნები)* სიძულვილის, დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წახალისებას უკავშირდება[6]. პოლიტიკოსის ან საჯარო მოხელის მიმართ უხეში ან შეურაცხმყოფელი გამონათქვამი შესაძლოა სხვა სამართლებრივი შეფასების საგანი გახდეს, მაგრამ მხოლოდ მისი შეურაცხმყოფელი ფორმა მას სიძულვილის ენად არ აქცევს. გარდა ამისა, პოლიტიკოსებს, მათი თანამდებობისა და საზოგადოებრივი გავლენის გამო, კრიტიკის მიმართ კერძო პირებზე მეტი თმენის ვალდებულებაც ეკისრებათ.[7]

ადამიანის უფლებების იურისტების შეფასებით, საქართველოში კიდევ ერთი საპოლიციო მექანიზმის შექმნა, სადაც ბუნდოვანი ნორმების, არაპროპორციული სანქციებისა და შემზღუდავი ინსტრუმენტებს გამოყენების მაღალი რისკია, პირდაპირ საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუფლებას და პოლიტიკური ცენზურისა თუ ტოტალური კონტროლის მაღალ რისკებს აჩენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი მექანიზმის დასაბუთებისას „ქართული ოცნებისა“ და „ხალხის ძალის“ წარმომადგენლები ხაზგასმით მიუთითებდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის, საპატრიარქოსა და სასულიერო პირების წინააღმდეგ ე.წ. მიმდინარე „სიძულვილის კამპანიებზე“, რომელთა წყაროდ ოპოზიციას, დამოუკიდებელ მედიას, უცხოელ პარტნიორებსა და პარტნიორი ქვეყნების საგრანტო დაფინანსების მქონე სამოქალაქო ორგანიზაციებს ასახელებდნენ.

---

[6] სიძულვილის ენის ცნებისა და მასთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ იხ.:
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2022)16 რეკომენდაცია მიღებულია 2022 წლის 20 მაისს;
გაეროს სიძულვილის ენასთან ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 2019;
გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), „რაბათის სამოქმედო გეგმა ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის იმგვარი ადვოკატირების აკრძალვის შესახებ, რომელიც დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებას წარმოადგენს“, მიღებულია 2012 წლის 5 ოქტომბერს; წარმოდგენილია გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიშის დამატების სახით, UN Doc. A/HRC/22/17/Add.4, 11 იანვარი 2013;
ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია №15, მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს; ტექსტი გამოქვეყნდა 2016 წელს.
რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია, მუხლი 4.;
PACE-ის რეზოლუცია 2275 (2019)*:The Role and Responsibilities of Political Leaders in Combating Hate Speech and Intolerance*;
PACE-ის რეზოლუცია 2144 (2017)*: Ending Cyberdiscrimination and Online Hate.*

[7] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, პოლიტიკოსის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირის მიმართ, რადგან პოლიტიკოსი შეგნებულად აქცევს თავის სიტყვებსა და ქმედებებს ჟურნალისტებისა და საზოგადოების ყურადღების საგნად და, შესაბამისად, მეტი თმენის ვალდებულება ეკისრება. იხ. *Lingens v. Austria*, no. 9815/82, ECtHR, 8 July 1986, para. 42.

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 19 მაისი: “...ეს იყო მკაფიოდ გამოკვეთილი ხაზი, რომელსაც მიჰყვებოდა უცხოური ჩარევა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში, **მათ შორის, NGO-ების უცხოური დაფინანსება**. პირდაპირ, მიზანმიმართულად აფინანსებდნენ NGO-ების გავლით საქართველოში სიძულვილის ენის დამკვიდრებას, სიძულვილის გაღვივებას.”

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 21 მაისი: “სხვა მაგალითები გვაქვს, სადაც მათ პასუხს არ სცემდნენ. **კონკრეტულად მართლმადიდებელი ეკლესიის მაგალითზე ვსაუბრობ. პასუხს არ სცემდნენ, მაგრამ არ წყდებოდა სიძულვილის ნიაღვარი მართლმადიდებელი ეკლესიის, სასულიერო პირების, პატრიარქის, საპატრიარქოს მიმართ, ზოგადად ინსტიტუტის მიმართ. კარგად ხედავს საზოგადოება იმას, თუ საიდან მოდის სიძულვილის ეს ნიაღვარი.**

გურამ მაჭარაშვილი, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ პარტიის პარლამენტის დეპუტატი, 19 მაისი: “პოზიცია შეიძლება დააფიქსირო, განსხვავებული, კრიტიკული და მწვავედ კრიტიკულიც, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ გადახვიდე შეურაცხყოფებზე, როგორიც არის საქართველოში აბსოლუტური **უმრავლესობის მიერ აღიარებული ეკლესია და მისი მწყემსმთავრის შეურაცხყოფა. სამწუხარო მოცემულობაა, მაგრამ ასევე ეკლესიაში შედიან და იქ შეურაცხყოფას აყენებენ ხან სიტყვიერ და ხან ქმედებით ხატებს**, ასეთი ტიპის საქციელების მიმართ პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარდეს.”

2. „ღირებულებითი განათლების“ კლუბები საჯარო სკოლებში: რელიგიური ნეიტრალობისა და სეკულარობის დაცვის პრობლემა

საანგარიშო პერიოდში საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალობისა და სეკულარობის პრინციპების დაცვის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა „ღირებულებითი განათლების კლუბების” გაფართოების ფონზე. “ღირებულებითი განათლების კლუბები” საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ერთობლივი პროგრამაა, რომელიც 2023 წელს დაიწყო და საჯარო სკოლებში მოსწავლეების არაფორმალურ განათლებაში მართლმადიდებელი სასულიერო პირები ჩართო. საჯარო წყაროების მიხედვით, 2026 წლის ივნისის მდგომარეობით, 141 სკოლაში 175 კლუბი ფუნქციონირებს და მათში 4,375 მოსწავლეა ჩართული. “TV იმედის” ინფორმაციით, პროექტი ფარავს მთელ საქართველოს, მათ შორის ოკუპირებულ აფხაზეთს, სადაც რვა კლუბი ონლაინ ფუნქციონირებს. “ქართული ოცნების” განათლების მინისტრის, გივი მიქანაძის თქმით, პროგრამა დაიწყო პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, შემდეგ კი, მას “შიო მესამე ჩაუდგა პირადად სათავეში” და “ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მის განხორციელებას”. საჯარო ინფორმაციის მიხედვით, ღირებულებითი განათლების კლუბის წევრები კვირაში ერთხელ გაკვეთილების შემდეგ იკრიბებიან. მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

TDI-ს მიერ საქართველოს განათლების სამინისტროსგან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, საჯარო სკოლებში ღირებულებითი განათლების კლუბები შექმნილია საბაზო საფეხურის (VII-X კლასები) დაინტერესებული მოსწავლეებისთვის. კლუბების საქმიანობას წარმართავენ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს საპატრიარქოს თანამშრომლობით შერჩეული სასულიერო პირები (პედაგოგები).[8] მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 239 სასულიერო პირი გადაამზადა. უცნობია, სასულიერო პირების გადამზადების პროგრამის შინაარსი და მიზნები, ასევე სკოლაში სწავლების სტანდარტი და პროგრამა.

პროგრამის ოფიციალური და მედიით გავრცელებული აღწერა აჩვენებს, რომ იგი მხოლოდ ზოგად ეთიკურ განათლებას არ უკავშირდება. მაგალითად, TV Imedi-ის სიუჟეტში პროგრამა წარმოდგენილია, როგორც საქართველოს საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს ერთობლივი პროექტი, რომლის საფუძველიც ***ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების*** ახალ დოკუმენტში ჩაიდო. ამავე სიუჟეტში ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ ეს ღირებულებები „საქართველოსთან, ქართულთან და ჩვენს იდენტობასთან“ არის დაკავშირებული, *"მოსწავლეები კი სწავლობენ ქრისტიანული სწავლებებისა და „მარცვლების“ დანახვას ხელოვნებაში, ლიტერატურასა და მეცნიერებაში, რათა შემდეგ საკამათო საკითხები „ქრისტიანული თვალსაზრისით“ შეაფასონ."*

რა შეიცვალა 2024 წელს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში?

2024 წელს "ქართულმა ოცნებამ" ეროვნული სასწავლო მიზნების დოკუმენტში, რომელიც საფუძვლად ედება როგორც სასწავლო პროგრამებს, ისე სასკოლო სახელმძღვანელოების განახლებასა და რევიზიას, ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებები "ქართული ოცნების" მიერ კონსერვატიზმად ინტერპრეტირებული იდეოლოგიით ჩაანაცვლა. 2004 წელს მიღებული დოკუმენტისგან[9] განსხვავებით, ახალ მიზნებში "*ლიბერალური და დემოკრატიული პრინციპების", "ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა" და "სამოქალაქო ცნობიერების*" ნაცვლად, "*ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე, ოჯახის, ქართული ტრადიციის, საქართველოს ისტორიის და კულტურის მცოდნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პატრიოტი მოქალაქის აღზრდაზე*" გამახვილდა ყურადღება.

---

[8] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 9 თებერვლის MES 9 26 0000131812 წერილი.

[9] 2004 წელს მიღებული „„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ თანახმად, საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები **ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი** პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს **ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში**“.

ახალი დოკუმენტი შინაარსობრივად ეხმიანება იმ ღირებულებით ცვლილებებს, რომლებიც ბოლო წლებში „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ რიტორიკაში ხშირად გვხვდება. მასში აღარ ფიგურირებს ისეთი ტერმინები, როგორიცაა „დემოკრატიული ღირებულებები“ და „დისკრიმინაცია“, ხოლო ახალი მიზნები ხშირად რელიგიისა და ვიწრო ეთნიკური იდენტობის საფუძველზე ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ შეხედულებებთანაა დაკავშირებული.

ამ პროცესს წინ უძღოდა იმდროინდელი განათლების მინისტრის, გიორგი ამილახვრის განცხადება 2023 წლის 12 დეკემბერს, ზოგადი განათლების განვითარების ახალი სტრატეგიის წარდგენისას: *„ჩვენ გვინდა, ადამიანი იყოს ქართველი, რომელიც დაეფუძნება ქართულ იდენტობას, გაიზრდება პატრიოტულ საწყისებზე, დააფასებს და ეცოდინება მისი კულტურა და ისტორია“.* ამავე ღონისძიებაზე, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ 2004 წლიდან ქართულ სკოლებსა და უნივერსიტეტებში ბავშვები და ახალგაზრდები “ქართული დნმ-ის შეცვლის ექსპერიმენტში იყვნენ ჩართულები” და რომ ეს ექსპერიმენტი მათთვის ეროვნული იდენტობის წართმევას ისახავდა მიზნად.

რატომ შეიძლება იყოს “ღირებულებითი განათლების კლუბების” ფუნქციონირება საჯარო სკოლებში სეკულარობისა და რელიგიური ნეიტრალობის პრინციპებთან შეუთავსებელი?

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ფორმალურად ნებაყოფლობითი და „კლუბური“ ფორმისაა, ეს გარემოება თავისთავად ვერ ხსნის საჯარო სკოლის რელიგიური ნეიტრალობის შესაძლო დარღვევის პრობლემას. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი საჯარო სკოლაში კრძალავს სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისთვის გამოყენებას *(მუხლი 13(2))*. ამასთან, მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებსა და მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, თანაბარ პირობებში და დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ სკოლის სივრცითა და რესურსებით *(მუხლი 8(1)*. შესაბამისად, თუ სკოლის სივრცეში, სასკოლო აკადემიური დროის მიღმა, რელიგიურ საკითხებზე კლუბური აქტივობა ტარდება, იგი უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეთა თავისუფალ ინტერესს და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს და არა განათლების სამინისტროსა და საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ, მეთოდურად დაგეგმილ და ინსტიტუციურად მხარდაჭერილ სწავლებას.

პროგრამა და მისი განხორციელების ფორმა ქმნის მოსწავლეების თანასწორუფლებიანობის დარღვევისა და დისკრიმინაციის რისკსაც, რადგან იგი საჯარო სკოლებში მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობით ხორციელდება. საჯარო სკოლის სივრცე და სახელმწიფო რესურსი ხელმისაწვდომი ხდება ერთი კონკრეტული რელიგიური ინსტიტუტისთვის, ხოლო სხვა რელიგიური გაერთიანებების, არარელიგიური მსოფლმხედველობის ან განსხვავებული იდენტობის მქონე მოსწავლეები თანაბარ მდგომარეობაში არ არიან. ასევე, „საერთო“ ან „ეროვნულ“ ღირებულებებად წარმოდგენილი შინაარსი დომინანტი რელიგიური ტრადიციისა და მმართველი პარტიის იდეოლოგიური

შეხედულებების საფუძველზე განისაზღვრება. ასევე არსებობს ინდოქტრინაციის რისკი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია არასრულწლოვან მოსწავლეებზე, საჯარო სკოლის ავტორიტეტულ გარემოზე და პროგრამაზე, რომელსაც ერთდროულად, დემონსტრაციულად მხარს უჭერენ განათლების სამინისტრო და საპატრიარქო.

ამგვარად, „ღირებულებითი განათლების“ კლუბები ვერ შეფასდება მხოლოდ როგორც არასავალდებულო, არაფორმალური ან ზოგადეთიკური სასკოლო აქტივობა. ეს ინიციატივა საფრთხეს უქმნის საჯარო განათლების სეკულარულ ხასიათს, სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალობის ვალდებულებას, მოსწავლეთა და მშობელთა რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას, ასევე თანასწორობისა და პლურალიზმის პრინციპებს. ეს განსაკუთრებით პრობლემურია იმ ფონზე, როდესაც საჯარო სკოლებში რელიგიური ინდოქტრინაცია, პროზელიტიზმი და ნეიტრალობის დარღვევა ისედაც სისტემურ გამოწვევად რჩება[10].

3. საქართველოს პატრიარქის არჩევა და ინტრონიზაცია

2026 წლის 11 მაისს, სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე, საქართველოს 142-ე პატრიარქად სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო მუჯირი აირჩიეს. მიტროპოლიტმა შიომ 22 ხმა მიიღო; ურბნისისა და რუისის ეპარქიის მიტროპოლიტმა იობმა - 9 ხმა, ხოლო ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა - 7 ხმა, 1 ხმა გაუქმდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, შიო III-ის აღსაყრდება 12 მაისს, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გაიმართა.

საანგარიშო პერიოდში პატრიარქის არჩევის პროცესი აქტიური საჯარო განხილვის საგანი იყო. სასულიერო პირები საუბრობდნენ როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის ავტონომიაზე, ისე შესაძლო პოლიტიკური თუ არაფორმალური გავლენის რისკებზე. ამ დისკუსიის ფონზე „ქართული ოცნება“ მართლმადიდებელი ეკლესიის შიდა პროცესებთან დაკავშირებულ თითქმის ნებისმიერ კრიტიკულ კითხვას, ჟურნალისტურ გაშუქებას ან

[10] ამ ფონზე, წლების განმავლობაში განათლების პოლიტიკის დღის წესრიგში პერიოდულად ჩნდებოდა საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლების დაბრუნების ან რელიგიის ისტორიის არჩევით საგნად შემოტანის ინიციატივა, რაც მუდმივად იწვევდა კამათს სეკულარობის, ნეიტრალობისა და ინდოქტრინაციის რისკების შესახებ. მაგალითად, 2014 წელს განიხილებოდა სკოლებში რელიგიის საკითხების სამოქალაქო განათლების ფარგლებში სწავლება, თუმცა სამინისტრო განმარტავდა, რომ საუბარი არ იყო რელიგიის, როგორც დამოუკიდებელი საგნის, შემოტანაზე. მოგვიანებით, 2017 წელს, განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა ასევე დააზუსტეს, რომ სკოლებში რელიგიის გაკვეთილების ჩატარება არ იგეგმებოდა და მინისტრის ინიციატივა საშუალო საფეხურზე რელიგიების ისტორიისა და კულტურის არჩევით საგნად შესაძლო შემოტანას ეხებოდა. რელიგიის არჩევით საგნად შემოტანის შემთხვევაშიც, განათლების ექსპერტების ნაწილი მიუთითებდა, რომ ასეთი ინიციატივა არ გამომდინარეობდა საგანმანათლებლო პოლიტიკიდან და განათლების მიზნებიდან და, უფრო მეტად, პროპაგანდისტულ და პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. ვინაიდან რელიგიის საკითხები ეროვნულ სასწავლო გეგმაში უკვე ინტეგრირებულია ისტორიის, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ხელოვნების საგნებში, მათი ცალკე, არჩევით ან კლუბურ ფორმატში გატანა აჩენდა შინაარსის გრიფირებული სახელმძღვანელოების, მკაფიო აკადემიური სტანდარტებისა და კვალიფიციური, ნეიტრალური მასწავლებლების გარეშე სწავლების რისკს.

განსხვავებულ შეფასებას პატრიარქის არჩევაში ჩარევად და ეკლესიის ერთიანობასა და "ქართულ იდენტობაზე" თავდასხმად წარმოაჩენდა. *(ამ თემაზე საუბრობდნენ „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატები: მარიამ ლაშხი, თენგიზ შარმანაშვილი* და *დავით მათიკაშვილი, "ქართული ოცნების" პროპაგანდისტები: ამირან სალუქვაძე, ნიკოლოზ მეტრეველი* და *ლადო სადღობელაშვილი)*

ამ ნარატივს თან ახლდა ოპოზიციის, დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედ ძალებად მონიშვნა და კონკრეტული კანდიდატის მხარდაჭერის პატრიარქ ილია მეორისადმი პატივისცემასთან გაიგივება. მოსაყდრის ინსტიტუტი ფაქტობრივად მემკვიდრეობითი უფლებამოსილების ნიშნად იყო წარმოდგენილი, ხოლო სხვა კანდიდატებზე საუბარი ან შერჩეული იერარქის კრიტიკა - პატრიარქის ნების, ეკლესიის კურსისა და ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებად *(შალვა პაპუაშვილი, ლევან მაჭავარიანი, მაია ბითაძე, ნინო წილოსანი).*

პროსახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მქონე, პროპაგანდისტული მედია ამავე ნარატივს იმეორებდა და კრიტიკულ გაშუქებას „კოორდინირებულ კამპანიად" და ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობად წარმოაჩენდა *(მაგალითად, "რუსთავი 2-ის" სიუჟეტში, "კამპანია ეკლესიის წინააღმდეგ"), ტვ "იმედი" „ბრძოლის სამიზნედ ქცეული საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სინოდი და დისკრედიტაციის მორიგი მცდელობა ეკლესიის მისამართით").*

4. პატრიარქ ილია მეორის გარდაცვალებისა და შემდგომი პერიოდის გაშუქება მედიაში

4.1. სახელისუფლებო, პროპაგანდისტული სარედაქციო პოლიტიკის მედია

საანგარიშო პერიოდში სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის, პროპაგანდისტული მედია პლატფორმები ავრცელებდნენ "ქართული ოცნების" გზავნილებს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მათ სიუჟეტებში პატრიარქის არჩევის პროცესზე, პატრიარქობის კანდიდატებზე, ეკლესიაში მიმდინარე მოვლენებზე მოსაზრებები და რელიგიური ინსტიტუტის კრიტიკა წარმოდგენილი იყო, როგორც გარე ძალების მიერ მხარდაჭერილი პროცესი, რომელშიც მონაწილეობენ ოპოზიციური პოლიტიკოსები, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აქტივისტები, მედიის და სასულიერო პირების ნაწილი.

მაგალითად:

დიდი ბრტანეთის მიერ სანქცირებული ტელეკომპანია იმედის სიუჟეტები	დიდი ბრიტანეთის მიერ სანქცირებული პოსტ ტვ-ის სიუჟეტები	რუსთავი 2-ის სიუჟეტები
• სინოდის წევრების შეურაცხყოფა და ეკლესიის საქმეებში ჩარევა მიუღებელია ხელისუფლებისთვის • ეკლესიაზე შეტევა • ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობა • ოპოზიცია ეკლესიის წინააღმდეგ • ახალ პატრიარქსა და ეკლესიაზე შეტევად ფასდება მმართველი გუნდის მიერ ოპოზიციონერი პოლიტიკოსების განცხადებები • ბრძოლის სამიზნედ ქცეული საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე • საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის შეურაცხყოფას, მმართველი გუნდი კანდიდატის დაკნინებასა და ეკლესიაში დისონანსის შეტანის მცდელობას უწოდებს • ოპოზიციის მხრიდან თავდასხმა და შეტევა ეკლესიაზე გრძლდება • ცოტნე ივანიშვილმა ამორალური უწოდა ეკლესიისა და პატრიარქის მისამართით გაკეთებულ შეურაცხმყოფელ განცხადებებს • ახალი კამპანია ეკლესიის წინააღმდეგ და პატრიარქის არჩევნების წინ გაკეთებული განცხადებები • კამპანია პატრიარქის არჩევის წინ.	• შეტევა ეკლესიაზე • დიფსთეიითის ბრძოლის ახალი ტაქტიკა - უნგრული გაკვეთილი • პროოპოზიციური პროპაგანდა ეკლესიის წინააღმდეგ • შეტევა ეკლესიაზე • შეტევა ეკლესიის წინააღმდეგ • ოპოზიცია პატრიარქის წინააღმდეგ • ვინ, რატომ და როგორ ებრძვის პატრიარქის მოსაყდრე მეუფე შიოს • შეტევა ეკლესიის წინააღმდეგ.	• ეკლესიის დისკრედიტაციის კოორდინირებული მცდელობა • ეკლესიის დისკრედიტაციის კოორდინირებული მცდელობა • კამპანია ეკლესიის წინააღმდეგ • კამპანია ეკლესიის წინააღმდეგ • ეკლესიის დისკრედიტაციის კოორდინირებული შეტევა • ეკლესიის დისკრედიტაციის კოორდინირებული შეტევა • შეტევის მეორე ტალღა ეკლესიაზე • კამპანია ეკლესიის წინააღმდეგ,

პროპაგანდისტულ სიუჟეტებში მანიპულაციურად იყო წარმოდგენილი სხვადასხვა ოპოზიციონერი პოლიტიკოსის საჯარო განცხადებები, აგრეთვე ცალკეული აქტივისტის, მედიის თუ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლის გამოხატული პირადი მოსაზრებები ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის, პატრიარქის არჩევნების, პატრიარქობის კანდიდატების ან საპატრიარქოს შესახებ. მათ განცხადებებზე აგებული სიუჟეტებით იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ყველა ოპოზიციონერი, აქტივისტი, მედია და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია ჰომოგენური, ანტაგონისტური ძალაა. ერთი მხრივ, წარმოჩენილი იყო "ქართული ოცნება", რომელიც ეკლესიას და ტრადიციულ ღირებულებებს იცავს, მეორე მხრივ, კი ყველა ოპონენტი, "კოლექტიური ნაცმოძრაობა", რომლებიც ე.წ. "უცხოური დაფინანსებით" ცდილობს ეკლესიის ავტორიტეტის შელახვას. ამ ნარატივში

ნებისმიერი კრიტიკა ეკლესიის შესახებ ავტომატურად განიმარტებოდა, როგორც უცხოური გავლენა და ანტიეროვნული საქმიანობა.

სიუჟეტების ძირითადი ნაწილი აგებული იყო "ქართული ოცნების" ლიდერების და სატელიტი პარტიის "ხალხის ძალის" წევრების განცხადებებზე. შენარჩუნებული იყო მთავარი ნარატივი "ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის" შესახებ. სიუჟეტებში აქცენტი უმთავრესად "ქართული ოცნების" წევრთა განმარტებებზე კეთდებოდა, რასაც საეთერო დროის უდიდესი ნაწილი ეთმობოდა. "ქართული ოცნება" ჩრდილოვანი მმართველების დავალებასა და უცხო ქვეყნიდან მართულ, წინასწარ დაგეგმილი სცენარზე მიუთითებდა, რისი მიზანიც, მათი თქმით, არის ეკლესიისადმი საზოგადოების ნდობის მოშლა, შიდა დაპირისპირების პროვოცირება, არჩევის პროცესის სრული დისკრედიტაცია და ეკლესიისა და მრევლის სულიერი ერთობის დაზიანება.

შეტევის სამიზნე ასევე გახდა დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი ზენონ იარაჯული, ტელეკომპანია "ტვ პირველთან" გაკათებული განცხადებების გამო. სიუჟეტების მიხედვით, მთავარეპისკოპოსი ზენონი სინოდის სხდომის შედეგებს სინოდის კრებიდან ერთი კვირის შემდეგ, ტელეეთერით აკრიტიკებდა, პატრიარქის მოსაყდრეს კი შეურაცხყოფას აყენებდა.

პროპაგანდისტული, პროსამთავრობო სიუჟეტების ნაწილში ჟურნალისტები გამოხატავდნენ "ქართული ოცნების" გზავნილების თანმხვედრ მოსაზრებებს:

> ხატია ქვათაძე: ტელეკომპანია „იმედის" გადაცემა „ქრონიკი" ჟურნალისტი: "საყოველთაო ზეიმს ამჯერადაც ჩამორჩა საზოგადოების ერთი ნაწილი, მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლები. მათი განწყობაც და საჯარო გამოხატვის ფომრაც შეურაცხმყოფელია იმ უმარავი ადამინისთვის, ვისთვისაც დღევანდელი დღე მნიშვნელოვანი.
>
> დავით კაკულია: ტელეკომპანია "რუსთავის 2" ის გადაცემა "კურიერის" წამვანი: "ახალი პატრიარქის ინტრონიზაციის პარალელურად ოპოზიციური ჯგუფები და მათთან დაკავშირებული პირები ეკლესიის წინააღმდეგ მიზანმიმართულ კამპანიას განაგრძობენ. საპატრიარქო ტახტზე ახლად აღსაყდრებული პატრიარქის წინააღმდეგ მათ სოციალურ ქსელში აგრესიული პოსტები გავრცელეს, შეურაცხმყოფელი სიტყვები,გინება ილია მეორეს მიერ სიცოცხლეშივე გამორჩეული შიო მესამეს პირვოენების დაკნინების მცდელობა ეს მხოლოდ ნაწილია იმ განცხადებებიდან, რომლებსაც ოპოზიციის აქტვისტები სოციალური ქსელების საშუალებით ავრცელებენ…"
>
> ნათია ლაზაშვილი, ტელეკომპანია "რუსთავის 2" ის გადაცემა "კურიერის" წამვანი: "...ახალი ტალტა და ბოლო გაბრძოლება შიო მუჯირის წინააღმდეგ მათ შორის ეკლესიის შიგნით, კოორდინირებაში ჩართეს სასულიერო პირებიც, ტელევიზიებიც და სხვა მედია პლატფორმებიც.
>
> დათა გვასალია, ტელეკომპანია "პოსტ ტვ-ის" გადაცემა "მთავარი საინფორმაციო გამოშვების" წამყვანი: რადიკალური პოლიტიკური ჯგუფებისა და მათთან დაკავშირებული აქტორებისთვის მიუღებელია დამოუკიდებელი და შინაგანად ერთიანი ეკლესია, რადგან მათი ინტერესი არ რწმენის დაცვა არამედ საეკლესიო ამბიონის საკუთარ პოლიტიკურ ინსტრუმენტად ქცევაა…"

ანა აშორდია, ტელეკომპანია “პოსტ ტვ-ის” გადაცემა “მთავარი საინფორმაციო გამოშვების” წამყვანი: სპეკულაციები პატრიარქის არჩევის საკითხით და წმინდა სინოდის გადაწყვეტილების განსჯა, შეტევა ეკლესიაზე გრძელდება. ქართული ეკლესიისთვის მეტად საპასუხისმგებლო დროს, როდესაც სინოდი პატრიარქის ასარჩევად ემზადება ანტიეროვნული ჯგუფები პროცესის დისკრედიტაციას ცდილობენ.”

12 მაისი, ქრონიკა 20:00 საათზე

4.2. “ქართული ოცნებისგან” დამოუკიდებელი მედიის გაშუქება

“ქართული ოცნებისგან” დამოუკიდებელი, კრიტიკული მედია პატრიარქის არჩევნებს აქტიურად აშუქებდა, მათ შორის აქვეყნებდა სასულიერო პირების საჯარო კომენტარებსა და მოსაზრებებს პატრიარქის არჩევნებთან და პატრიარქობის კანდიდატებთან დაკავშირებით.[11]

მათ გადაცემებსა და ინტერვიუებში სასულიერო პირების ნაწილი ასევე აქტიურად საუბრობდა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, პროევროპული აქციების დროს დაკავებული მოქალაქეების, სინდისის პატიმრების შეწყალების საკითხზე[12], ასევე

[11] ტელეკომპანია ფორმულას სიუჟეტები სახელწოდებებით: *ინტერვიუ დეკანოზ ზაზა თევზაძესთან | დროება*, *პატრიარქობის კანდიდატების პროგრამა — გიორგი თარგამაძის მიმოხილვა*, *უკვე ცხადია, რომ მეუფე შიო არის რუსული პროექტი — დოროთე ყურაშვილი* ტელეკომპანია ტვ პირველის სიუჟეტები: *ჩვენ გვაქვს იმედი, რომ მისი უწმინდესობა შეძლებს იყოს სიყვარულისა და მოწყალების პატრიარქი | მეუფე საბა (ინწკირველი)*, *მეუფე ანტონი - დღეს დედა ეკლესიამ გამოცდა ჩაბარა*, *პატრიარქის არჩევნებმა ჩაიარა ძალიან მაღალ სულიერ საფეხურზე | მეუფე დანიელი*, *მეუფე ზენონ იარაჯულის სრული ინტერვიუ*, *მეუფე ზენონის სკანდალური ინტერვიუ | უპასუხებს თუ არა მეუფე შიო მეუფე ზენონის სკანდალურ განცხადებებს*, *მისმა უწმინდესობა შიომაც აღნიშნა, რომ პატრიარქობა არის დიდი პატივი, მაგრამ ამავე დროს არის დიდი ტვირთიც | მეუფე დოსითეოსი*, *პატრიარქის არჩევნები | მეუფე გრიგოლის დღევანდელი ქადაგება*

[12] ტელეკომპანია ფორმულას სიუჟეტები სახელწოდებებით: *ახალი პატრიარქის აღსაყდრება და სინდისის პატიმრების შეწყალების საკითხი*, *ახალი პატრიარქის აღსაყდრება და სინდისის პატიმრების შეწყალების საკითხი*. ტელეკომპანია ტვ პირველის სიუჟეტები: *სინდისის პატიმრები შეწყალების მოლოდინში*, *ახალი პატრიარქის გეგმები და წმინდა სინოდი შიო მესამის გადაწყვეტილების მოლოდინში*, *დათანხმდება თუ არა "ოცნება" სინდისის პატიმრების შეწყალების შუამდგომლობას ?*, *შეწყალების მოთხოვნა ეპისკოპოსებისგან | რა პროცესები იწყება საპატრიარქოში*, *პატიმრების შეწყალების მოთხოვნა ეპისკოპოსებისგან*, *სინდისის პატიმრების შეწყალების საკითხი | რას ამბობენ და რა მოლოდინი აქვს სასულიერო პირებს*

მხარდაჭერას გამოხატავდნენ დიუშენის სინდრომის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლების მიერ საჭირო მედიკამენტების მოთხოვნის მიმართ.[13]

მედია აქტიურად აშუქებდა პატრიარქის არჩევის დღეს, შიო მესამის აღსაყდრებას, პატრიარქობის რანგში მის პირველ ქადაგებასა და ამ ქადაგების გზავნილებს.[14]

142-ე კათოლიკოს-პატრიარქად მეუფე შიოს არჩევამდე, მედია აქტიურად აშუქებდა სხვადასხვა რესპონდენტის პოზიციას საარჩევნო პროცესსა და კანდიდატებზე[15] (მათ შორის, პატრიარქობის კანდიდატის, რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტის, იობ აქიაშვილის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის, დიპლომის დაკარგვის შესახებ ინფორმაციას) აგრეთვე მოსაზრებებს საპატრიარქოს შიდა საქმეებსა და არჩევნების პროცესში შესაძლო გარე ჩარევის რისკებზე.[16]

---

[13] ტელეკომპანია ფორმულას სიუჟეტები:. *შიო III დიუშენით დაავადებული ბავშვების მშობლებს შეხვდება*, *შეხვედრა შიო მესამესთან და "ოცნების" მინისტრის პროპაგანდა*, *პატრიარქმა იმედის სხივი გააჩინა ჩვენში — დიუშენის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლები*, *დიუშენის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლების შეხვედრა საპატრიარქოში*, *საპატრიარქო მშობლების "ოცნების" ხელისუფლებასთან წამლის თემაზე შუამდგომლობას დაჰპირდა*, *დიუშენის სინდრომის მქონე ბავშვები კვლავ წამლების მოლოდინში არიან*, *პატრიარქთან შეხვედრა ჩვენთვის იყო ნათელი — თაკო გოგოლაძე, დიუშენის სინდრომის მქონე ბავშვის მშობელი* ტელეკომპანია ტვ პირველის სიუჟეტები: *შეხვედრა შიო მესამესთან - შეაცვლევინებს თუ არა ოცნებას პოზიციას პატრიარქის ჩართულობა ?*, *სინოდი პატიმრების შეწყალებისა და დიუშენით დაავადებული ბავშვების დახმარების საკითხს განიხილავს*

[14] ტელეკომპანია ფორმულას სიუჟეტები:. *როგორ ჩატარდა პატრიარქის არჩევნები?*, *ყველაზე მნიშვნელოვანი რაც უნდა გააკეთოს [შიო მესამემ], არის ძალადობაზე უარი — ლევან სუთიძე*, *შიო III-ის პირველი ქადაგება*, *შიო III-ის აღსაყდრება და ეკლესიაში მიმდინარე მოვლენები | გიორგი ფარეშიშვილი, პროფესორი*, *შიო III-ის აღსაყდრება*, *პატრიარქის პირველი გაზაფხული*, *შიოს шум-ი — მათე კირვალიძის ვლოგი* ტელეკომპანია ტვ პირველის სიუჟეტები: *პატრიარქის ინტრონიზაციის დღე*, *როგორც კეთილმა მწყემსმა მინდა შევძლო და ვატარო ეს მძიმე ჯვარი | შიო III-ის პირველი ქადაგება*, *ახალი პატრიარქის პირველი ქადაგება | რა გზავნილები ჰქონდა შიო მესამეს*, *საქართველოს ახალი პატრიარქი ჰყავს*, *გზა პატრიარქობამდე - უცნობი დეტალები შიო III ცხოვრებდან*

[15] ტელეკომპანია ფორმულას სიუჟეტები:. *მეუფე იობის დიპლომი*, *მიტროპოლიტ იობის განათლების საკითხი*, *მიტროპოლიტი იობი დიპლომის მოპარვის ფაქტს ადასტურებს*, *ერთი დღე ახალი პატრიარქის არჩვამდე. ეკლესიის დებულება — მოპარული დიპლომი | თინათინ ერამის სიუჟეტი* ტელეკომპანია ტვ პირველის სიუჟეტები: *საეპისკოპოსო რეზიდენციიდან დაიკარგა მეუფე იობის დიპლომი ... დიდი აღბათობით მოპარულია I მეუფე გიორგი ჯანმდელიანი*, *მეუფე იობი დიპლომის მოპარვას ადასტურებს | რას ამბობს ურბნისისა და რუისის ეპისკოპისი*, *გაქრა ეპისკოპოსის დიპლომი*, *სასულიერო აკადემიაში სხდომა დასრულდა | საბჭომ მეუფე იობის დიპლომი აღიარა*, *დაიკარგა თუ მოიპარეს - სად გაქრა მეუფე იობის დიპლომი?*

[16] ტელეკომპანია ფორმულას სიუჟეტები:.*მმართველი ძალის ამოცანაა საპატრიარქოს და მმართველი ძალის დღის წესრიგის გაერთიანება- არმაზ ახვლედიანი*, *საპატრიარქო ტახტის თამაშები*, *პატრიარქის არჩევნები*, *ბრძოლა საპატრიარქო ტახტისთვის*, *პატრიარქის არჩევნები* ტელეკომპანია ტვ პირველის სიუჟეტები: *პატრიარქის არჩევის დღე | თეოლოგები გარე ჯგუფების ინტერესებზე საუბრობენ*, *მოსაყდრემ [შიომ] შექმნა წინასაარჩევნო საკუთარი შტაბი | მირიან გამრეკელაშვილი*, *ვინ რა ფორმით ერევა პატრიარქის არჩევნებში და ვინ ვის ლობირებს?*, *ჩარევა საპატრიარქო არჩევნებში? | რას ამბობს სალომე ზურაბიშვილი*, *ჩარევა საპატრიარქო არჩევნებში?*, *დაბლოკილი კანდიდატები და გავლენიანი ჯგუფები საპატრიარქოში - ეკლესიაში დაძაბულობა იზრდება*, *როგორ იბლოკებოდნენ პატრიარქობის კანდიდატები? - სინოდის მძიმე სხდომის დღემდე უთქმელ ამბები*

5. ანტიდასავლური გზავნილები

საანგარიშო პერიოდში, "ქართული ოცნების" წარმომადგენლები და პროპაგანდისტები კვლავინდებურად აწარმოებდნენ აგრესიულ, ანტიდასავლურ კამპანიას. მათ რიტორიკაში ცენტრალური ადგილი ეკავა „გარე ძალებისა" და მათი „შიდა აგენტურის" ნარატივს. ოპოზიცია, სამოქალაქო საზოგადოება, დამოუკიდებელი მედია და სხვა კრიტიკული ჯგუფები წარმოჩენილნი იყვნენ არა დამოუკიდებელ სუბიექტებად, არამედ დასავლური ინსტიტუტებისა და უცხოური ფონდების დავალებების შემსრულებლებად, რომელთა მიზანია, მართლმადიდებელი ეკლესიის, რელიგიური იდენტობისა და ტრადიციების დასუსტება და განადგურება.

მაგალითები:

> მამუკა მდინარაძე, „ქართული ოცნების" ვიცე-პრემიერი, სამართალდამცავი ორგანოების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, 26 მაისი: "სამწუხაროა, მაგრამ ახალი არ არის, რომ ეკლესიის და სახელმწიფოს ერთიანობა აღიზიანებს ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც შინაგან სლოგანად აქვთ გადაქცეული დაყოფის და გაბატონების სტრატეგია **უცხო ძალების დავალებით**."
>
> შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის თავმჯდომარე, 12 მაისი: "არ არსებობს არანაირი ოპოზიცია. სინამდვილეში, ჩვენ არ უნდა დავინახოთ ამ შემთხვევაში კონკრეტული ოპოზიციური სახეები. ჩვენ ამის უკან უნდა დავინახოთ **მათი უცხოური დამკვეთები**. ეს არის ხაზი, იგივე ხაზი, რაც მოქმედებს სახელმწიფოს წინააღმდეგ, ახლა ამუშავებულია ეკლესიის წინააღმდეგ და მნიშვნელოვანია ჩვენმა საზოგადოებამ სიფხიზლე გამოიჩინოს."
>
> შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის თავმჯდომარე, 8 მაისი: "...მცდელობებს ვხედავთ, რომ გარკვეული **შფოთი და დაპირისპირება შეიტანონ გარედან დაკვეთით საქართველოს ეკლესიაშიც..."**
>
> მაია ბითაძე, „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 11 მაისი: "...მთელმა მსოფლიომ იხილა, როგორი კონსოლიდაცია შეუძლია ერს, რომლის დაქსაქსვას ძალიან ცუდად ცდილობდნენ, როგორც **გარე ძალები, ასევე, რადიკალური ოპოზიცია,** რომელიც საკუთარი თავის დემოკრატიის შუქურად გასაღებას ცდილობს."
>
> დავით მათიკაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 13 მაისი: "...ეს მათ კიდევ ერთხელ ნიღაბს ხდის და აჩვენებს, რომ ეს ძალები მოქმედებენ როგორც საკუთარი სურვილით, **ისე გარე ძალების დაფინანსებითა და მხარდაჭერით. სურთ შეარყიონ ქართული ეკლესია, სულიერება.** შემდგომ, ფიქრობენ, რომ მარტივად შეძლებენ საკუთარი დეგრადირებული დღის წესრიგის განხორციელებას."

5.1 ევროკავშირი, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიისა და სუვერენიტეტის მოწინააღმდეგე ძალა

საანგარიშო პერიოდში, "ქართულმა ოცნებამ" ანტიდასავლური რიტორიკის გასაძლიერებლად მანიპულაციურად გამოიყენა კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების ფაქტი და მომავალი პატრიარქის არჩევის პროცესი. მათი თქმით, ამ მოვლენებმა გამოააშკარავა, თუ ვინ ცდილობს *ეკლესია დაჰყოს, დაპირისპირება შეიტანოს და ეკლესია და საზოგადოება ერთმანეთს დააპირისპიროს*.

ამავე გზავნილს აგრძელებდა "ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრის 19 მაისის ღია წერილი ევროკავშირის უმაღლესი ინსტიტუტების ხელმძღვანელებისადმი. წერილში კოპენჰაგენში 13 მაისს პოლიციასა და პალესტინის მხარდამჭერ აქტივისტებს შორის დაპირისპირება[17] ფართო კონტექსტის გარეშე იყო გამოყენებული ევროკავშირის „ღირებულებითი კრიზისის" დასამტკიცებლად. კობახიძის თქმით, ევროკავშირი აღარ იცავს დემოკრატიას, ადამიანის უფლებებსა და გამოხატვის თავისუფლებას. ამასთან, პოლიციის ქმედებების კრიტიკა დაკავშირებული იყო მიგრაციის, ეროვნული და გენდერული იდენტობების „შესუსტებისა" და საზოგადოებრივი თვითმყოფადობის რღვევის შესახებ გზავნილებთან. ამგავარად, ეს წერილი ევროპისა და „ტრადიციული", ქრისტიანული საქართველოს ღირებულებითი დაპირისპირების ნარატივს აძლიერებდა.

„ქართული ოცნების" პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა კონსტიტუციის 78-ე მუხლს, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს სრული ინტეგრაციისთვის ყველა ზომის მიღებას ავალდებულებს, კონსტიტუციის სხვა დანარჩენი დებულებები დაუპირისპირა და განაცხადა, რომ დასავლელმა პარტნიორებმა ჯერ საქართველოს სახელმწიფოებრიობას, სუვერენიტეტსა და მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს უნდა სცენ პატივი და მხოლოდ ამის შემდეგ მოითხოვონ 78-ე მუხლის შესრულება. ამგვარი რიტორიკა ქმნის მცდარ წარმოდგენას, თითქოს ევროპული ინტეგრაცია წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციურ წყობასთან, ეროვნულ ინტერესებსა და რელიგიურ იდენტობასთან.

[17] საანგარიშო პერიოდში, "ქართული ოცნების" და მისი სატელიტი პარტიების წარმომადგენელების, სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის, პროპაგანდისტული მედია პლატფორმებისა და პროპაგანდისტების მთავარი ნარატივი იყო 13 მაისს, კოპენჰაგენში პროტესტანტებსა და პოლიციას შორის მომხდარი დაპირისპირება, რომლიც პროპაგანდისთვის კონტექსტიდან ამოგლეჯილად, ორმაგი სტანდარტების საილუსტრაციოდ, საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენეს. პროსამთავრობო მედიები დღეების განმავლობაში ყოველდღიურად აშუქებდნენ კოპენჰაგენში პოლიციელების მხრიდან დემონსტრანტებზე ძალადობის ამბავს. ამ საკითხს არაერთი გადაცემა და ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნეს. მაგალითად, პროსამთავრობო, პროპაგანდისტლმა მედია რუსთავი 2-მა გადამღები ჯგუფიც კი გააგზავნა კოპენჰაგენში სამუშაოდ, სიუჟეტები კი სახელწოდებით "კურიერი დანიიდან - მოქალაქეები ძალადობის წინააღმდეგ" შუქდებოდა. "ქართულმა ოცნებამ" პროპაგანდისთვის ეს ინციდენტი ევროკავშირისა და დასავლური ინსტიტუტების "ორმაგ სტანდარტებში" დასადანაშაულებლად გამოიყენა.

ევროკავშირის დისკრედიტაციის ამავე გზავნილს ავრცელებდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც. ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის მიერ საქართველოს დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ევროპული ინტეგრაციის მდგომარეობის შესახებ კრიტიკული ანგარიშის მხარდაჭერის საპასუხოდ, სამინისტრომ ევროკავშირის ინსტიტუტები საქართველოს სახელმწიფოზე, საზოგადოებრივ ღირებულებებსა და მართლმადიდებელ ეკლესიაზე მიზანმიმართულ თავდასხმაში დაადანაშაულა. დემოკრატიული უკუსვლის შესახებ კრიტიკა წარმოდგენილი იყო არა საქართველოს ხელისუფლების მოქმედებების შეფასებად, არამედ ქვეყნის სუვერენიტეტის, ეროვნული ფასეულობებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად.

> "შემაშფოთებელია ევროკავშირის ინსტიტუტების გამოყენება ქართულ სახელმწიფოზე, დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, ქართულ საზოგადოებაზე და ფასეულობებზე მიზანმიმართული თავდასხმებისთვის, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, რაც უხეშად ლახავს ერის რელიგიურ გრძნობებს."

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნება" გამუდმებით თავს ესხმოდა დასავლელ პარტნიორებს, ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს საქართველოში.

მაგალითები:

> შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის თავმჯდომარე, 16 ივნისი: " სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქის და საქართველოს ეკლესიის პოზიცია ვნახეთ ოჯახური ღირებულებების კანონთან დაკავშირებით, რომ **არათუ ეს კანონები უნდა შეიცვალოს და გაუქმდეს, არამედ, პირიქით, უნდა გაფართოვდეს და განმტკიცდეს. როდესაც ჩვენ გვაქვს არჩევანი, დავუჯეროთ ბრიუსელს თუ საქართველოს ეკლესიას, ჩვენ ვირჩევთ საქართველოს ეკლესიას**. შეიძლება ეს ბრიუსელს სწყინს, მაგრამ ცივი წყალი დალიოს, ვისაც ეს სწყინს."
>
> შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის თავმჯდომარე, 10 მაისი: "არის მცდელობა, საზოგადოება გაყონ და დაპირისპირება შეიტანონ. ამიტომ ასეთი მომენტები კარგი ინდიკატორია, რათა ამოვიცნოთ, ვინ არის ის, ვინც მტრობს ქართულ საზოგადოებას, ვინც ცდილობს, **ეკლესია დაჰყოს, დაპირისპირება შეიტანოს და ეკლესია და საზოგადოება ერთმანეთს დააპირისპიროს**."
>
> მაია ბითაძე, „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 11 მაისი: "...რამდენიმე წელია აქტიურად მიმდინარეობს **ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციის ძალიან სამარცხვინო კამპანია, რაშიც უცხოელი პოლიტიკოსებიც კი იყვნენ ჩართულები და მათი აზრით, საქართველოს მოსახლეობას უნდა გასჩენოდა აზრი იმის თაობაზე, რომ მართლმადიდებელი ეკლესია „შავბნელი ფორმატი" არის ადამიანებზე ზემოქმედების."**
>
> გურამ მაჭარაშვილი, „ქართული ოცნების" სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის" პარტიის პარლამენტის დეპუტატი, 14 მაისი: "...დასანქცირებები დაიწყეს, როგორც ინდივიდუალური ხასიათის, ისე ზოგადად სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის **თავდასხმები, მათ შორის დეზინფორმაციები** სახელმწიფო ინსტიტუტებზე, **ეკლესიაზე, საპატრიარქოზე, რატომ? იმიტომ რომ მოეხდინათ გავლენა საზოგადოებაზე..."**

ვატო შაქარიშვილი, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი, 1 მაისი: **“ევროკავშირი გეუბნება: გვერდზე გადადე შენი ღირსება, კულტურა, ტრადიციები, ქრისტიანული ისტორია და მრწამსი**, მხოლოდ ამის შემდეგ დამიკაკუნე და მე გადავწყვეტ, საერთოდ დაგელაპარაკო თუ არა. აქ საუბარი ჯერ მიღებაზეც კი არ არის, მხოლოდ იმაზე, შეაღებენ თუ არა კარს.”

5.1.1. რეზოლუციების ინტერპრეტაცია, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა

17 ივნისს ევროპის პარლამენტმა საქართველოს შესახებ კრიტიკული რეზოლუცია მიიღო. ევროპარლამენტის თქმით, ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი პრაქტიკულად შეჩერებულია, რაზეც პასუხისმგებლობა მმართველ პარტია “ქართულ ოცნებას” ეკისრება. რეზოლუცია გმობს პოლიტიკურ რეპრესიებს, მოითხოვს პოლიტპატიმრების გათავისუფლებას და მხარს უჭერს მიზნობრივ პერსონალურ სანქციებს. იგი ასევე მკაცრად გმობს “ქართულ ოცნებასთან” დაკავშირებული მედიის, “იმედის, “პოსტ ტვ-ისა” და “რუსთავი 2-ის” როლს ევროკავშირის წინააღმდეგ სისტემური დეზინფორმაციის, ცილისწამების კამპანიებისა და მტრული პროპაგანდის გავრცელებაში და მათ სანქცირებას მოითხოვს. ამასთან, რეზოლუცია კვლავ ადასტურებს ევროკავშირის მუდმივ მხარდაჭერას საქართველოს მოსახლეობისა და მისი ევროპული მისწრაფებების მიმართ, რომელიც აგრძელებს ბრძოლას ევროპული და დემოკრატიული საქართველოსთვის, დემოკრატიული რეგრესის, მზარდი რეპრესიის, არამართლზომიერი დაკავებების, მტრული რიტორიკის, დეზინფორმაციისა და მუქარის პირობებში.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ გავლენიანი ინსტიტუტია ქართულ საზოგადოებაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი დისკურსის ჩამოყალიბებაში. ამ კონტექსტში ევროპარლამენტი შეშფოთებას გამოხატავს, რომ რუსეთი საქართველოში რელიგიურ ქსელებს დეზინფორმაციისა და გავლენის გავრცელების არხებად იყენებს, რათა შეასუსტოს ქვეყნის პროევროპული ორიენტაცია და დემოკრატიული მდგრადობა. დოკუმენტი ასევე ხაზს უსვამს, რომ ეკლესიის შიგნით ზოგიერთი სასულიერო პირი ამგვარ ინსტრუმენტალიზაციას ეწინააღმდეგება და საჯაროდ აკრიტიკებს როგორც რუსულ გავლენას, ისე „ქართული ოცნების“ პოლიტიკას. ასევე აღნიშნულია, რომ ქართული მართლმადიდებელი საეპარქიო სტრუქტურები და სამრევლოები ევროკავშირის ტერიტორიაზეც მოქმედებს, რის გამოც ტრანსნაციონალური დეზინფორმაციის მიმართ განსაკუთრებული სიფხიზლეა საჭირო.

24 ივნისს საქართველოს შესახებ კრიტიკული რეზოლუცია მიიღო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამაც (PACE). რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საქართველოში დემოკრატიული უკუსვლა გრძელდება და ქვეყანაში ამ ეტაპზე თავისუფალი და

სამართლიანი არჩევნების პირობები არ არსებობს. დოკუმენტი გამოხატავს შეშფოთებას პოლიტიკური ოპონენტების, სამოქალაქო საზოგადოების და მედიის წინააღმდეგ რეპრესიებზე, მიუთითებს პოლიტპატიმრების არსებობის რისკზე და მოუწოდებს "ქართული ოცნების" მთავრობას რეპრესიული კანონმდებლობის სრულ გაუქმებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისკენ.

საანგარიშო პერიოდში "ქართული ოცნების" ლიდერები აღნიშნული რეზოლუციების შეფასებისას, იყენებდნენ ევროკავშირისა და ევროპული სახელმწიფოების მიმართ კრიტიკულ და დისკრედიტაციულ რიტორიკას. რეზოლუციების შინაარსი კი ინტერპრეტირდებოდა მანიპულაციური ფორმით, რათა შექმნილიყო იმგვარი წარმოდგენა, თითქოს რეზოლუციები საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო ინსტიტუტებს, ტრადიციულ ღირებულებებსა და მართლმადიდებელ ეკლესიას უპირისპირდება. "ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, "ყველანაირი ფასი აქვს დაკარგული ევროპარლამენტის რეზოლუციებს".

ევროპარლამენტის რეზოლუციაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლის შესახებ ჩანაწერი "ქართულმა ოცნებამ" ანტიევროპული ნარატივის გასაძლიერებლად და რეზოლუციის ლეგიტიმურობის შესუსტების მიზნით გამოიყენა. ისინი ამ შეფასებებს ოფიციალური ევროპული ინსტიტუტის მხრიდან ეკლესიაზე პირდაპირ თავდასხმად და საშიშ პრეცედენტად წარმოაჩენდნენ.

> ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრი, 23 ივნისი: „გრანტებით საქართველოში ფინანსდებოდა სიძულვილის, აგრესიის გაღვივება, **თავდასხმები მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ**, თავდასხმები სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ და ეს იყო ჩვეულებრივად უხეში საგარეო ინტერვენციის ინსტრუმენტი. ამის წინააღმდეგ იქნა მიღებული „გრანტების შესახებ კანონი."
>
> შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის თავმჯდომარე, 25 ივნისი: "... **დღეს ჩანს, რომ უკვე გადადიან ქართულ ეკლესიაზე თავდასხმის შემდეგ ეტაპზე და ევროპარლამენტს, როგორც ყველაზე მოძულებულ ინსტიტუციას, მოასინჯინეს ნიადაგი**. ამიტომ მნიშვნელოვანია, ევროკომისია, საქართველოში ევროკავშირის ელჩი აქვე გაემიჯნოს მსგავს თავდასხმას. აქ პილატესავით ხელს ვერავინ დაიბანს ქართველი ხალხის და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ამ უმსგავსო ქცევაში. **ამიტომ, საქართველოს ეკლესიაზე ევროპარლამენტის მხრიდან თავდასხმისგან არგამიჯვნა ნიშნავს მასზე დათანხმებას და სამომავლოდ სწორედ ასე განვიხილავთ ამგვარ მიდგომას.**"
>
> ლევან მახაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 23 ივნისი: "...მათ უნდათ, **ებრძოლონ ჩვენი სულიერების მთავარ ბურჯს, ჩვენს დედა-ეკლესიას** – იმ ინსტიტუტს, რომელმაც უმძიმეს საუკუნეებში შეგვინარჩუნა ენა, მამული და სარწმუნოება. ეკლესიასთან ერთად, ისინი ებრძვიან ოჯახს, ტრადიციებს, იდენტობას. ეკლესიასა და ღირებულებებზე თავდასხმით მათ სურთ ჩვენი ეროვნული სხეულის ხერხემალში გატეხვა, რადგან იციან, რომ სანამ ქართველ კაცს რწმენა და ტრადიცია უმაგრებს ზურგს, მას ვერანაირ უცხოურ დღის წესრიგს ვერ მოახვევ თავს...."
>
> მაია ბითაძე, „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 25 ივნისი: "...წითელი ხაზი გადაიკვეთა და გადაიკვეთა ახლა უკვე **რელიგიურ გრძნობებთან და მრწამსთან მიმართებით**, რაც დამატებით აჩენს იმის

> საფუძველს, რომ ვიკითხოთ რა არის ასეთი, რაც მათ უბიძგებთ, რომ ასეთი მტრული ენა გამოიყენონ საქართველოსა და საქართველოს ხელისუფლების მიმართ. რეალურად, შეეხონ ისეთ საკითხს, როგორიც არის ჩვენი რელიგია და ინსტიტუტი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნდობის მქონეა საქართველოში."

აღნიშნული რეზოლუციების გაშუქებას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო პროსახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მქონე, პროპაგანდისტული მედიების რუსთავი 2-სა და იმედის ეთერში. დიდი ბრიტანეთის მიერ სანქცირებული TV იმედის სიუჟეტი *"რეზოლუციები რადიკალების თანაავტორობით"* მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ ჩანაწერზე ამახვილებდა ყურადღებას და შეურაცხყოფად აფასებდა. რეზოლუციები "უსამართლოდ", ხოლო მათი ავტორები "ევრობიუროკრატებად" იყვნენ მოხსენიებული, რომლებიც გადაწყვეტილებებს "გავლენიანი ძალების მითითებით" იღებენ და ეყრდნობიან, მათი შეფასებით, "ქართული მდიდარი ენჯეოებისა" თუ ოპოზიციის ცრუ დასმენების საფუძველს.

5.1.2. პოლონეთის წინააღმდეგ განცხადებები

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა პოლონეთის წინააღმდეგ რიტორიკა, რომლის საფუძველიც პოლონეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ქართულენოვან ეთერში მოწვეული რესპონდენტის მოსაზრება გახდა. სტუმარმა პატრიარქის არჩევის პროცესსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში შესაძლო რუსულ გავლენებზე საკუთარი შეფასება გამოთქვა. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო კონკრეტული რესპონდენტის მოსაზრება და არა პოლონეთის ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია, „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა იგი პოლონეთის სახელმწიფოს მიერ საქართველოს ეკლესიაზე ორგანიზებულ თავდასხმად წარმოაჩინეს. სადავო პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა პოლონეთის საგარეო უწყება "პროპაგანდისტული ინსტრუმენტის" შექმნასა და "მართლმადიდებელ ეკლესიაზე თავდასხმაში" დაადანაშაულა.

> შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის თავმჯდომარე, 10 მაისი: "პოლონეთის მთავრობამ პროპაგანდისტული არხი ქართულ ენაზე ჩართო და პირველი, რაც გააკეთეს, ქართულ ეკლესიას თავს დაესხნენ. **არ ვიცი, პოლონეთის მთავრობას თუ ჰგონია, რაიმე უფლება აქვს, საქართველოს ეკლესიას თავს დაესხას, ეს მათი დიდი პრობლემაა, რადგან ეკლესიის სიდიდესთან მიმართებით საკუთარ სიმცირეს ვერ აცნობიერებენ**."

> გურამ მაჭარაშვილი, „ქართული ოცნების" სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის" პარტიის პარლამენტის დეპუტატი, 1 მაისი: **"რატომ უნდა მოუნდეთ პოლონეთში ქართული ეკლესიის განსჯა?...**განსაკუთრებით მარტის მოვლენებმა ცხადყო, რომ საქართველო თუ შედგა როგორც სახელმწიფო, ამაში ეკლესიას დიდი როლი აქვს, რაც ასევე კონსტიტუციაშიც არის ასახული. ამიტომაც არის, რომ **ყოველთვის ებრძვიან ქართულ ეკლესიას."**

6. „დიფ სთეითის“ მიერ მართული ევროკავშირი და აშშ-ის ხელისუფლება

„ქართული ოცნება“ და მასთან დაკავშირებული პროპაგანდისტები სისტემატურად იმეორებენ „დიფ სთეითის“ და „გლობალური ომის პარტიის“ კონსპირაციულ ნარატივს, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირი და დასავლური ინსტიტუტები იმართება ჩრდილოვანი ძალის, “დიფ სთეითის” მიერ. ამ ნარატივის მიხედვით, *“ევრობიუროკრატია არაფორმალურ ოლიგარქიულ გავლენებს ექვემდებარება”*, და დასავლეთის მიზანია, საქართველოს ომში ჩართვა, საქართველოში ხელისუფლების ცვლილება, ქართული იდენტობის წართმევა და მართლმადიდებელი ეკლესიის დასუსტება. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 2025 წელს, “ქართული ოცნების” პროპაგანდისტებმა ღიად დაასახელეს, რომ “ოლიგარქიულ ოჯახებში” ებრაელები იგულისხმებოდნენ.[18]

“დიფ სთეითის” შესახებ კონსპირაციული, ანტისემიტური თეორიების ერთ-ერთი გამავრცელებელია “ქართული ოცნების” პროპაგანდისტი ზაზა შათირიშვილი, რომელიც საანგარიშო პერიოდშიც აქტიურობდა. მან ქართული პროსახელისუფლებო მედიასაშუალებების მიმართ ევროპული ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები „დიფ სთეითისა“ და მისგან მართული „ევრობიუროკრატიის“ თავდასხმად წარმოაჩინა - დიდი ბრიტანეთის მიერ სანქცირებული ტელეკომპანია იმედის ცნობით, ევროპარლამენტმა მათ ერთი წლით საქმიანობა აუკრძალა. მათივე ცნობით, მოლდოვამ სამ ქართულ სამთავრობო და პროპაგანდისტულ მაუწყებელს - TV იმედს, PosTV-ს და რუსთავი 2-ს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სესიაზე დასასწრებად აკრედიტაცია არ მისცა.

ამავე დროს, შათირიშვილმა ევროკავშირი აღწერა როგორც ფორმალურად დემოკრატიული, მაგრამ რეალურად ოლიგარქიული ძალების მიერ მართული სივრცე, სადაც არჩევნები მხოლოდ ილუზიას ქმნის, ხოლო მოქალაქეებს „ხელოვნურად თავსმოხვეული ფსევდოიდეოლოგიით“ ეროვნულ იდენტობას ართმევენ. შათირიშვილმა, ევროკავშირთან ერთად, “დიფ სთეითის” მიერ მართულად მოიხსენია აშშ-ს პრეზიდენტი დონალტ ტრამპი და მისი ადმინისტრაციასაც: *“ფაქტია, რომ დონალდ ტრამპის მიერ ვითომდა "დიფ სთეითის" წინააღმდეგ გამოცხადებული ომი სრული ფარსი აღმოჩნდა, მეტიც, უკვე ყველასთვის ცხადია, რომ დონალდ ტრამპიც "დიფ სთეითის" მიერ იმართება”.*

საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნება“ ასევე განაგრძობდა საქართველოში ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლების საწინააღმდეგო რიტორიკას. მორიგი თავდასხმის სამიზნე გახდა გერმანიის ელჩი პეტერ ფიშერი, რომელმაც „გლობალური ომის პარტიის“, „დიფ სთეითისა“ და „ლიბერალური ფაშიზმის“ შესახებ ხელისუფლების

[18] იხ. TDI ანგარიშები: https://tdi.ge/sites/default/files/religiis_tavisuplebis_tanascoroba_sekularoba_ivnisi_2025.pdf
https://tdi.ge/sites/default/files/tdi_monitoringis_angarishi_religiis_tavisupleba_tanascoroba_da_sekularoba_agvisto_2025.pdf

გზავნილები გამოგონილ და მცდარ ნარატივად შეაფასა. ელჩის მიერ კონსპირაციული თეორიების კრიტიკა მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა გერმანიის, ევროკავშირისა და ქართველი საზოგადოების მიმართ დაცინვად და უპატივცემულობად წარმოაჩინეს.

> გიორგი გაბუნია, „ქართული ოცნების“ პარლამენტის დეპუტატი, 26 მაისი: “ეს ადამიანი, რომელიც დღეს ჩვენ ირონიულად გვესაუბრება და თითქოს, „დიფ სთეითს“ პოულობს-ვერ პოულობს, ერთი რამ მინდა მას ვუთხრა, რომელიც დღეს ასრულებს თავისი უფროსების დავალებებს, „დიფ სთეითი“ პირველ რიგში, უნდა ეძებოს თავის ქვეყანაში.”
>
> ირაკლი ზარქუა, „ქართული ოცნების“ პარლამენტის დეპუტატი, 23 მაისი: “ფიშერი ერთი პერიოდი დაჭკვიანებული იყო, მაგრამ ახლა ახალი დაკვეთა მიიღო სწორედ „დიფ სთეითისგან“. მას და მეორე ელჩს, ევროკავშირისას, ჰერჩინსკის რომელსაც საერთო არაფერი აქვს ევროპულ ღირებულებებთან.”
>
> ეკა სეფაშვილი, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ პარტიის პარლამენტის დეპუტატი, 23 მაისი: “...შესაბამისად, ფიშერის განცხადება, რომ თითქოსდა ვერ იპოვა „დიფ სთეითი“, მხოლოდ მის უსუსურობაზე მეტყველებს - ფიშერს არ აქვს იმ შეკითხვებზე პასუხი, რომლებსაც ქართველი საზოგადოება და ჟურნალისტები უსვამენ…”

7. სასულიერო პირების განცხადებები

7.1. მართლმადიდებელი სასულიერო პირების განცხადებები პატრიარქის არჩევასთან დაკავშირებით

საანგარიშო პერიოდი საქართველოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში მნიშვნელოვან თარიღს: 142-ე პატრიარქის არჩევასა და აღსაყდრებას დაემთხვა.

არჩევნებამდე სასულიერო პირების ნაწილი ქადაგებისას და მედიასთან გამოხატავდა საკუთარ მოსაზრებას მომავალი პატრიარქის არჩევის პროცესისა და კანდიდატების შესახებ.

7.1.1. განცხადებები შესაძლო გარე ჩარევასა და პატრიარქობის რომელიმე კანდიდატის მხარდაჭერის იძულების დაუშვებლობაზე

ისევე როგორც წინა საანგარიშო პერიოდში, სასულიერო პირთა ნაწილი ახმოვანებდა სეკულარულ მოწოდებებს ეკლესიის შიდა საქმეებში ჩაურევლობისა და გარე ზეწოლის დაუშვებლობის შესახებ. ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა ახალი პატრიარქის არჩევის პროცესში ხელისუფლების შესაძლო ჩარევის რისკებზე, ნაწილი კი აღნიშნავდა, რომ პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, პატრიარქის არჩევნებში ხელისუფლების ან სხვა გარე ძალების ჩარევას ვერ ხედავდა. სასულიერო პირების ნაწილი ინარჩუნებდა ნეიტრალურ ტონს, რომ პატრიარქის არჩევა “ღმერთის ნებით მოხდება” და ეს არის “ მძიმე ჯვარი და

პასუხისმგებლობა", ნაწილი ღიად ან ირიბად გამოხატავდა მხარდაჭერას მიტროპოლიტ შიო მუჯირის მიმართ.

განცხადებები შესაძლო ჩარევასთან დაკავშირებით:

მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი, იოგ აქიაშვილი, 7 მაისი: "[ზეწოლა და ჩარევა] ჯერ არ იგრძნობა. თქვენ ვერ ხედავთ? **სამთავრობო ტელევიზიები ხომ აკეთებენ ამ ყველაფერს [ზეწოლას და ჩარევას],** მეტი არაფერი. შიდა დაპირისპირება არაა, ერთსულოვნებაა, ძალიან კარგი მდგომარეობაა."

დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი ზენონ იარაჯული, 6 მაისი: "თუ ბოლომდე მივყვებით, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ასახელებენ ადამიანს, ერთ-ერთ ბიზნესმენს, რომელიც რამდენიმე მღვდელმთავართან მივიდა და **სთხოვს მეუფე შიოსთვის ხმას.** მე არ ვიტყვი.. დაე, მათ თქვან, ვისთანაც მივიდა. მე გეუბნებით ფაქტს, ერთ-ერთ შემადგენელს, ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა."

დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი ზენონი იარაჯული, 5 მაისი: მოდით რა, გაბედონ და გაგვაგებინონ ბოლომდე, რისი თქმა უნდათ [ციანიდის საქმეზე[, მთავრობა რატომ იბარებდა მღვდელმთავრებს ცალ-ცალკე, მოდით, თვითონ ილაპარაკონ რა. პირდაპირ მოთხოვნა [იყო], რომ ეს უნდა იყოს, მეუფე შიო პატრიარქი..,"

განცხადებები ჩაურევლობასთან დაკავშირებით:

გორის და ატენის მიტროპოლიტი ანდრია გვაზავა, 11 მაისი: "ამ კითხვაზე, მეღიმება. ვფიქრობ, ჩარევა როდესაც ხდება, ხდება ყველას მიმართებაში. შეიძლება მე და თქვენ ვისაუბროთ და აზრები გავუზიაროთ, მე ის კანდიდატი მომწონს, თქვენ მეორე, როგორ გამოდის? ჩარევა არის?! ჩემთან არავის ჰქონია საუბარი."

ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი საბა ინწკირველი, 10 მაისი: "ხვალინდელი დღე არის ისტორიული და წინასწარ ვერაფერს ვიტყვით. **რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი გადაწყვეტილება იქნება მიღებული.** არანაირი ჩარევა არ ყოფილა. პირადად ჩემთან არანაირი ჩარევა არ ყოფილა. თუ ვინმესთან იყო ჩარევა, თვითონ იტყვის. პირადად ჩემთან არანაირი ჩარევა არ ყოფილა."

ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზ ფაჩუაშვილი, 6 მაისი: "ყველამ თუ ვიცით, მეც უნდა ვიცოდე ხომ? ხომ ვარ ამ ყველაში ხომ? **საერთოდ, პირველად მესმის ეგ ამბავი ზეწოლის და რაღაცის.** მაგალითად, ჩემზე რატომ არ შეიძლებოდა, ბოლოს და ბოლოს საწყენი ამბავია, ყველაზე თუ განახორციელეს, მე რა დავაშავე. ჩემზეც განეხორციელებინათ კაცო. არავის განუხორციელებია ნამდვილად. აი, ღვთის წინაშე გეუბნებით რა."

ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი დოსითეოზ ბოგვერაძე, 1 მაისი: "ძნელია, ამაზე პასუხი ერთმა ეპისკოპოსმა გასცეს. თუ ეპისკოპოსი რაიმე ზეწოლას განიცდის, ის ვალდებულია, რომ განაცხადოს და ეს აუცილებელიც არის. **მე ასეთი ზეწოლა არავისგან მიგრძნია, არც სხვა ეპისკოპოსებისაგან გამიგია, რომ რაიმე ზეწოლა ვინმეზე ხორციელდებოდა."**

ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი იაკობიშვილი, 10 მაისი: "ნახავთ [ხვალ რაც მოხდება] მე ვამბობ: **ჩარევა არ არის და არც ყოფილა!** ჩვენი სინოდი არ არის ისეთი სუსტი რომ ვიღაც ჩარიოს, ამაზე არ ინერვიულოთ."

საქართველოს 142-ე პატრიარქად სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) არჩევის შემდგომ, მართლმადიდებელი სასულიერო პირები ძირითადად საუბრობდნენ ახალი პატრიარქის არჩევის მნიშვნელობაზე, ეკლესიისა და საზოგადოების ერთიანობაზე, მშვიდობიანი და ღირსეული გარდამავალი პროცესის აუცილებლობაზე, ახალ გამოწვევებსა და შიო III-ის პასუხისმგებლობაზე. მათი ნაწილი არჩევანს დადებითად აფასებდა, ნაწილი კი განსხვავებულ პოზიციას ინარჩუნებდა, თუმცა ახალ პატრიარქს წარმატებას უსურვებდა *(ამ თემაზე საუბრობდნენ: ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელ დათუაშვილი, ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი დოსითეოზ ბოგვერაძე, მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლ ბერბიჭაშვილი, წილკნისა და დუშეთის მთავარეპისკოპოსი ზოსიმე შიოშვილი, ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია ჭანტურია, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი* და *დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი ზენონი იარაჯული.)*

7.2 დიუშენის სინდრომის მქონე ბავშვების მხარდამჭერი განცხადებები

საანგარიშო პერიოდში მთავრობის ადმინისტრაციასთან გაგრძელდა დიუშენის კუნთოვანი დისტროფიის მქონე ბავშვების მშობლების უწყვეტი პროტესტი. ისინი სახელმწიფოს თანამედროვე მედიკამენტების დაფინანსებასა და პაციენტებისთვის სრულყოფილი სამედიცინო მომსახურების შექმნას სთხოვდნენ. "ქართული ოცნების" ხელისუფლება უარს თავდაპირველად პრეპარატების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის შესახებ კითხვებითა და საბიუჯეტო პასუხისმგებლობით ამართლებდა.

მშობლებმა არაერთხელ მოითხოვეს შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოსთან მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით, მათ შორის განცხადებით, საპატრიარქოში მისვლით და საჯარო მოწოდებებით. 8 მაისს, მშობლების არაერთი თხოვნის შემდეგ, საპატრიარქოს წარმომადგენლებსა და მშობლებს შორის შეხვედრა შედგა. 19 მაისს, პატრიარქი შიო III დათანხმდა მათთან შეხვედრას, ეკლესიამ კი გამოთქვა მზადყოფნა, ჩაერთოს პროცესში გამოსავლის პოვნის მიზნით.

მშობელთა მოთხოვნებს ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა მოჰყვა. მაგალითად, მოძრაობა „დაიცავი ილიაუნის" საქველმოქმედო კამპანიის ფარგლებში ბავშვების საჭიროებებისთვის ორ მილიონ ლარზე მეტი შეგროვდა. ამავე დროს, პროსახელისუფლებო მედიასა და სოციალურ ქსელებში მიმდინარეობდა მედიკამენტებისა და სოლიდარობის კამპანიის დისკრედიტაციის მცდელობა, რომელშიც მანიპულაციურ ცნობებთან ერთად ხელოვნური ინტელექტით შექმნილი ყალბი ანგარიშებიც მონაწილეობდნენ.

45-დღიანი პროტესტის შემდეგ, ივნისის დასაწყისში "ქართული ოცნების" პრემიერი მშობლებს შეხვდა. გადაწყდა მულტიდისციპლინური სამედიცინო ჯგუფებისა და

სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელმაც მოთხოვნილი ოთხი მედიკამენტიდან პირველ ეტაპზე ორის საქართველოში შემოტანაზე უნდა იმუშაოს. 30 ივნისის მდგომარეობით, შესყიდვის პროცესი მიმდინარეობს.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, პრობლემას სასულიერო პირთა ნაწილიც გამოეხმაურა. ისინი მედიკამენტების დაფინანსების აუცილებლობაზე საუბრობდნენ. ნაწილი საზოგადოებას "დაიცავი ილიაუნის" დაწყებული მარათონის მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა. მხარდამჭერი განცხადებები გაავრცელეს: ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტმა ანტონ ბულუხიამ, ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტმა ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა, დეკანოზ ანდრია ჯაღმაიძემ, დეკანოზ კონსტანტინე პაიჭაძემ, დეკანოზ გიორგი წეროძემ და არქიმანდრიტ ილია თოლორაიამ. ფონდის მხარდაჭერისკენ მოუწოდა მრევლს მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის ეპისკოპოსმა, გიორგი ჯამდელიანმა და დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპისკოპოსმა, ზენონ იარაჯულმა.

7.3 „სიძულვილის ენის" მარეგულირებელი სამმართველო

საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნების" მიერ დაანონსებული „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო" შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტში შეიქმნა და 1 ივნისს ამოქმედდა. სამმართველოს დეკლარირებული ფუნქციაა საჯაროდ გავრცელებული, სავარაუდოდ შეურაცხმყოფელი ან სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების პროაქტიული მონიტორინგი, სავარაუდო სამართალდამრღვევთა იდენტიფიცირება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენა და მასალების სასამართლოში გადაგზავნა (ვრცლად იხ. თავი.1.4.„სიძულვილის ენის" მონიტორინგის სამმართველო და პოლიტიკური ცენზურა)

ადამიანის უფლებათა დამცველების შეფასებით, საპოლიციო მექანიზმის შექმნა, სადაც ბუნდოვანი ნორმების, არაპროპორციული სანქციებისა და შემზღუდავი ინსტრუმენტებს გამოყენების მაღალი რისკია, პირდაპირ საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუფლებას და პოლიტიკური ცენზურისა თუ ტოტალური კონტროლის მაღალ რისკებს აჩენს. აღსანიშნავია, რომ სიძულვილის ენის მარეგულირებელი სამართლებრივი ბერკეტების ნეგატიურ ასპექტებსა და მათი შესაძლო ბოროტად გამოყენების საფრთხეებზე ყურადღებას სასულიერო პირების ნაწილიც ამახვილებდა.

> დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი ზენონი იარაჯული, 19 მაისი: "...თუმცა, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს თავად „სიძულვილის ენის" ცნების ინტერპრეტაციული ბუნება. თუ იგი მკაფიო სამართლებრივი კრიტერიუმების გარეშე გამოიყენება, არსებობს საფრთხე, რომ ეს კატეგორია გადაიქცეს პოლიტიკური და იდეოლოგიური კონტროლის ინსტრუმენტად, რომლის ფარგლებშიც კრიტიკული, განსხვავებული ან ხელისუფლებისთვის მიუღებელი დისკურსიც მოექცევა. განსაკუთრებით სენსიტიურია ეს საკითხი კულტურული და რელიგიური სივრცის კონტექსტში, რადგან ბუნდოვანი განსაზღვრებების პირობებში არსებობს საფრთხე, რომ კრიტიკული ან განსხვავებული აზრი

„სიძულვილის ენად“ იქნეს ინტერპრეტირებული, რაც საბოლოოდ დაასუსტებს, როგორც აკადემიურ თავისუფლებას, ისე საზოგადოებრივი დებატის კულტურას. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ბალანსი, რომელიც ერთდროულად დაიცავს ადამიანის ღირსებასაც და თავისუფლებასაც. ამავე დროს, ქრისტიანული ეთიკა უარყოფს ადამიანის დამცირებას, სიძულვილსა და ძალადობას, რადგან ადამიანი ღვთის ხატებად მოიაზრება და მისი ღირსება ხელშეუვალია. თუმცა, ქრისტიანული ტრადიცია ასევე ეფუძნება სინდისის თავისუფლებას, პიროვნულ პასუხისმგებლობასა და ჭეშმარიტების თავისუფალი გამოთქმის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ ეკლესიისთვის მიუღებელია როგორც ადამიანის დამცირებისა და სიძულვილის ყოველგვარი ფორმა, ისე თავისუფლების შეზღუდვა.”

7.4 პოლიტიკური პატიმრების მხარდაჭერა

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ ანტიკონსტიტუციური და რეპრესიული კანონმდებლობის აღსრულება. გამკაცრებული წესების საფუძველზე, სასამართლოები ტროტუარზე დგომასთან დაკავშირებულ მრავალ ადმინისტრაციულ საქმეს განიხილავდნენ და ათობით პირს პატიმრობა შეუფარდეს.

პატრიარქის არჩევის პროცესისა და სინოდის სხდომების პარალელურად, კვლავ აქტუალური იყო 2024 წლის 28 ნოემბრის შემდგომ დაკავებული სინდისის პატიმრების შეწყალების საკითხი. სასულიერო პირთა ნაწილი ახალი პატრიარქის ხელისუფლებასთან შუამდგომლობას, პატიმრების გათავისუფლებასა და საზოგადოებრივ შერიგებას უჭერდა მხარს. მათი განცხადებები ეფუძნებოდა როგორც პოლიტიკური დაპირისპირების განმუხტვის საჭიროებას, ისე შეწყალების ქრისტიანულ გაგებას. სასულიერო პირთა მცირე ნაწილი ღიად უცხადებდა სოლიდარობას სინდისის პატიმრებს და “ქართული ოცნების” ხელისუფლების მოქმედებებსაც აკრიტიკებდა.

ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელ დათუაშვილი, 24 მაისი: “პირადად მე ვფიქრობ, რომ შესაძლებელია, ეს [შეწყალება] ერთ-ერთი [განსახილველი] საკითხი იყოს, თუმცა, ისევ და ისევ ვიმეორებ, რომ ეს პატრიარქის პრეროგატივა არის. ჩვენ ამაზე გვისაუბრია ილია მეორის სიცოცხლეში, მოსაყდრესაც უსაუბრია, მღვდელმთავრებსაც უსაუბრიათ. ეს საუბრები გრძელდება და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შედეგს ვიხილავთ. ჩვენი დიდი სურვილია, რომ ქვეყანაში ურთიერთდაპირისპირება დასრულდეს და მშვიდობა და ერთსულოვნება აღდგეს. ამისთვის ორივე მხრიდან ურთიერთპატივისცემაა საჭირო და, ჩემი აზრით, ეს პატივისცემა გახდება საწინდარი. არა შეურაცხყოფა, არა უპატივცემულობა, მე მგონი, ეს არის საწინდარი და ეს ჩემი პირადი აზრია.”

ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი ანტონ ბულუხია, 17 მაისი: “სინოდი, როგორც კი შედგება, ყველა საკითხს დავაყენებთ, დავიწყებთ მეთოდოლოგიურად ყველა საკითხზე - იქ ბავშვის წამლის საკითხები, **შეწყალებები, პატიმრობები.** რა თქმა უნდა, განვიხილავთ.”

ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია ჭანტურია, 12 მაისი: “ეკლესიის პოზიცია არის, რომ ციხეში რომ კაცი არ იყოს, უმჯობესია. ღვთის მადლით, **ალბათ მოახერხებს ეკლესია რაღაც შუამდგომლობას.”**

> მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 12 მაისი: „სათნოება დაწერილია. წიგნი უნდა წავიკითხოთ, იქ რაც წერია უნდა შევასრულოთ. პირადად, როგორც ქრისტიანი, **რა თქმა უნდა [მხარს ვუჭერ]. ყველა პატიმარს უნდა მივხედოთ, ასეა დაწერილი.”**
>
> ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი დოსითეოზ ბოგვერაძე, 12 მაისი: “მე მხოლოდ ვარაუდს გამოვთქვამ - რადგან საპატრიარქოს ასეთი პოზიცია ჰქონდა, ვფიქრობ, რომ ეს არ არის შორს, როგორც ფიქრი, იდეა, მოქმედება. არ ვიცი ეს როგორ იქნება. მის უწმინდესობას რაღაც დროც უნდა მივცეთ. ჩემი პოზიცია არის ის, რომ **ქრისტეს სიყვარული ყველას უნდა მისწვდეს. უნდა იყვნენ შეწყალებულნი. ყველა საკითხი პოლიტიზებული ხდება. ეს არ უნდა მოვახდინოთ, ეს არ უნდა გავაკეთოთ. ამას უნდა შევხედოთ ქრისტიანული თვალით.**
>
> ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი საბა ინწკირველი, 12 მაისი: “მე, როგორც ერთ-ერთი მღვდელმთვარი, თანახმა ვარ, რომ პატიმრების შეწყალება მოხდეს, მამა ანდრიამაც აღნიშნა, რომ **მომავალში აპირებს მისი უწმინდესობა კიდევ ერთხელ მიმართოს პრეზიდენტს შეწყალებაზე, რომ შეიწყალოს პატიმრები,** თუმცა, პასუხს ვერ ვიტყვით, რა იქნება და როგორ, რადგან ეს უკვე პრეზიდენტის გადაწყვეტილებაა.”
>
> ჩრდილოეთ ამერიკის ქართული ეპარქიის მდივანი, მღვდელმონაზონი იერონიმე ქათამაძე, 12 მაისი: “მე რამდენ მღვდელმთავართანაც მქონდა შეხვედრა და საუბრები, **უმრავლესობა მომხრეა, რომ მოხდეს საყოველთაო შერიგება.** არ მგონია, რაიმემ შეაფერხოს. არის ინფორმაცია, რომ ახალი პატრიარქი შეძლებს იმას, რომ მოხდეს საყოველთაო შერიგება. ამის მოლოდინიც არის და შესაბამისი ინფორმაციებიც ვრცელდება. ნებისმიერი საჭეთმპყრობელი, როდესაც ადგილობრივი ეკლესიის მეთაური ხდება, რაღაც ცვლილებებს იწყებს, ეს ცვლილებები არის დადებითი. მჯერა, დადებით ცვლილებებს შორის იქება საყოველთაო შერიგება, **იმ პოლარიზებულ გარემოში, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია, ახალი პატრიარქი შემრიგებელი იქნება ყველა მხარეს შორის.”**

ამასთან, სასულიერო პირთა ნაწილმა გაიმეორა ხელისუფლების ნარატივი, რომლის მიხედვითაც შეწყალებას წინ უნდა უძღოდეს დაკავებულთა მიერ დანაშაულის აღიარება და მონანიება. ამ მიდგომით, შეწყალება უსამართლო ან პოლიტიკურად მოტივირებული პატიმრობის გამოსწორების საშუალებად კი არ განიხილებოდა, არამედ დაკავებულთა მიერ წაყენებული ბრალდებების აღიარებასა და მონანიებას უკავშირდებოდა.

> ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზ ფაჩუაშვილი, 11 მაისი: „ჩვენი ხელისუფლება მგონი ამის დეკლარირებას არ ახდენს, არ აღიარებს, რომ ეს [პატიმრები] პოლიტიკური ნიშნით არის იმიტომ, რომ ძირითადად ვინც ახლა ციხეში სხედან, **მათ წაყენებული აქვთ არა პოლიტიკური, არამედ კრიმინალური თუ ადმინისტრაციული ბრალდებები**. აქ რა უნდა ვქნათ? **რა უნდა მოინანიონ მათ, სად არის ეგრე, რომ ციხეში პატიმარმა თავისი დანაშაული მოინანიოს და გამოუშვან. ერთადერთი, რაზეც არის აქ ლაპარაკი, არის ის, რომ ჩვენ, სასულიერო პირებს არ უნდა გვქონდეს არავითარი შეზღუდვა, რომ მივიდეთ იმ ხალხთან და აღსარება ჩავიბაროთ, ვაზიაროთ და ვანუგეშოთ.**
>
> ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის მიტროპოლიტი სტეფანე კალაიჯიშვილი, 11 მაისი: “…მე უწმინდეს შიოს მაგივრად პასუხს ვერ გაგცემთ, მაგრამ ჩემს პოზიციას ვიტყვი: **როდესაც შეწყალება უნდა სთხოვო ადამიანებისთვის, იმ ადამიანებისგან უნდა გქონდეს იმის მხარდაჭერა, რომ ის დანაშაულები, რაც მოხდა, აღიარებულია. მე რომ ვარ შუამავალი, კრიმინალი გამოუშვი, ამას არ უნდა ვეუბნებოდე ხელისუფლებას,** ამასთანაც უნდა დავილაპარაკო, იმასთანაც და აქედან სინანული უნდა დავინახო და იქიდან მიმტევებლობა და მაშინ მოხდება შერიგება. სხვანაირად როგორ? თუ ისინი გამოვიდნენ და იტყვიან: აი, ჩვენ გავიმარჯვეთ, დავამარცხეთ, ვინ იქნება ამის მიზეზი? - ახალი პატრიარქი შიო, რომელმაც მათ ასეთი

ფუფუნება მოუწყო. მერე პატრიარქ შიოს სხვები არ ეტყვიან, რომ ეს ხალხი რა დღეშია? რომ მოსთხოვე გათავისუფლება, ნახე რას აკეთებენ…"

7.4.1. განცხადებები პოლიტიკოს ელენე ხოშტარიას ჯანმრთელობის მდგომარეობაზე

სასულიერო პირების ნაწილი გამოეხმაურა პატიმრობაში მყოფი პოლიტიკური პარტია „დროას" ლიდერის, ელენე ხოშტარიას[19] ჯანმრთელობის მდგომარეობას პენიტენციურ დაწესებულებაში და მოუწოდებდა შესაბამის უწყებებს მისი კლინიკაში გადაყვანისკენ. ელენე ხოშტარიას ჯანმრთელობა ბოლო ოთხი თვის განმავლობაში მკვეთრად გაუარესდა. 29 ივნისს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, რომ ელენე ხოშტარიას რუსთავის ქალთა ციხიდან სამედიცინო კლინიკა „ვივამედში" გადაიყვანენ.

დეკანოზი გიორგი წეროძე, 26 ივნისი: "ადამიანის ღირსება, ჯანმრთელობა და სიცოცხლე არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მის პოლიტიკურ შეხედულებებზე, პარტიულ კუთვნილებაზე."

არქიმანდრიტი ილია ჯინჯოლავა, 26 ივნისი: "ადამიანურად მოვალედ მივიჩნევ თავს, სოლიდარული ვიყო მის მიმართ და გულწრფელად ვუსურვო ჯანმრთელობა, ძალა და ღვთის შეწევნა. ღმერთმა განამტკიცოს და მხნეობა მიანიჭოს."

7.5. განცხადებები რუსეთის მიერ კიევ-პეჩერის ლავრის მიძინების ტაძრის დაბომბვის შესახებ

15 ივნისის ღამეს რუსეთმა კიევზე ბალისტიკური რაკეტებით მორიგი იერიში მიიტანა და მართლმადიდებლური ქრისტიანობის ერთერთი მთავარი სამონასტრო კომპლექსი, კიევ-პეჩერის ლავრის მიძინების ტაძარი დაბომბა. სასულიერო პირების ნაწილი გამოეხმაურა რუსეთის ომის დანაშაულს და ამხილა მისი დეზინფორმაციული პროპაგანდა, რომლის მიხედვითაც კრემლი ომს ქრისტიანობისა და "ტრადიციული ღირებულებების" დაცვით ამართლებს, მაშინ როდესაც თავად ანადგურებს ქრისტიანულ სიწმინდეებს.

დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი ზენონ იარაჯული, 17 ივნისი: "კიევ-პეჩორის ლავრის წინააღმდეგ განხორციელებული იერიში განსაკუთრებული ტკივილით აღიქმება ყველა იმ ადამიანის მიერ, ვისთვისაც ძვირფასია ეკლესიის სიწმინდეები - გვწამს, სიწმინდეების დაზიანებით შეუძლებელია იმ სულიერი ძალის შერყევა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში აერთიანებდა და ამაგრებდა უკრაინელ ერს."

არქიმანდრიტი ილია ჯინჯოლავა, 15 ივნისი: "...ყველაზე მძიმე კი ის არის, რომ ამას ხშირად ქრისტიანული რიტორიკისა და "ტრადიციული ღირებულებების" სახელით ამართლებენ. მაგრამ

[19] 24 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ ოპოზიციონერ პოლიტიკოს ელენე ხოშტარიას 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა იმის გამო, რომ მან დედაქალაქის მერის, კახა კალაძის საარჩევნო ბანერზე წარწერა "რუსული ოცნება" გააკეთა.

ქრისტიანობა არაა ტაძრების დანგრევა, მშვიდობიანი ადამიანების მკვლელობა და მეზობელი ერის განადგურების სურვილი...”

არქიმანდრიტი შიო კვარაცხელია, 15 ივნისი: “მართლმადიდებლობა გვასწავლის გიყვარდეს მტერი შენი და ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი არა თუ მტერს, საკუთარ მოძმე ერს ვისაც უწოდებს და ერთმორწმუნეს იმათ როგორ ეპყრობა და ამ ყველაფრიდან გამომდინარე, რა არის მათში ქრისტიანული, არაფერი, ისინი ძალიან შორს არიან ქრისტესგან და ღვთის სწორი გაგებისგან.”